პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 144 (18386) კვირა, 20 ივნისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ხალხის სამსახურში

ვიქტორია სირაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

დღეს საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებში, გაიმართება სახალხო დეპუტატთა მეთვრამეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები.

ამ დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ კამპანიას ქართველი ხალხი ხვდება დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში.

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა ეგებება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს — მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის დიდ დღესასწაულს — რესპუბლიკის მშრომელებს, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებული შრომითა და პრძოლით ღირსეული ნვლილი შეაქვთ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, 1982 წლის მაისის პლენუმისა და პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემული დებულებების, პლენუმის მიერ მოწონებული სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით შთაგონებული საქართველოს მშრომელები წარმატებით ასრულებენ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების სახელმწიფო გეგმისა და ნაკისრ ვალდებულებებს.

საქართველოს სს რესპუბლიკამ 1982 წლის იანვარ-მაისის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმა 102 პროცენტით შეასრულა; გადაჭარბებით რეალიზებულია 72,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც გეგმის 2 პროცენტს შეადგენს. 1981 წლის იმავე პერიოდთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 5,2 პროცენტით გაიზარდა ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში წარმატებით არის განვალდებული მარცვლეულის, ბალეულის, მზესუმზირას, სოიის თესვის გეგმები.

შესრულდა ფრინველისა და კვერცხის სახელმწიფო შესყიდვის გეგმებიც.

მომავალ საქმეთა დიადი ამოცანები, მასშტაბები, მიზნები შთაგონებენ რესპუბლიკის მშრომელებს და ახალ შემოქმედებით ძალებს, უშრეტ ენერგიას მატებენ.

საქართველოს მშრომელთა დევიზია საიუბილეო წელს — დამკვრელური შრომითი ვახტი!

საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის სოციალისტურ შეჯიბრებას მეთაურობენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, „ანაალიზსელსანყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების, ქარხანა „მოონის“, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის ტრიკოტაჟის სანარმოო გაერთიანება „ბახტრონის“ და სხვა ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივები. ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებები საქართველოს ენერგეტიკულებმა. დიდ შრომის ნაყოფიერებას აღწევენ ტყიბულის მეშახტეები, ჭიათურის მანგანუმის მომპოვებლები და სხვანი. სულ უფრო მეტად იზრდება ჩვენი სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის შემოქმედებითი ძიების აქტიურობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოთხოვნათა საპასუხოდ.

სოფლის მშრომელები ცდილობენ უფრო მეტად გაზარდონ სასურსათო რესურსები და ამით გაამტკიცონ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერება. დღეგანდელი გაზაფხულის რთული ამინდის პირობების მიუხედავად ნედლეულის დამზადების შარშანდელ დონეს უსწრებენ მეჩაიეები, გასულ წელთან შედარებით მეტი კარტოფილის დამზადებას ვარაუდობენ ბოლნისელი და მარნეულელი მეკარტოფილეები, ქერის უხვ მოსავალს მოელიან ნითელწყაროელი მიწათმოქმედნი... თავდადებით შრომობენ მეცხოველეებიც. ყველა ისინი იბრძვიან, რათა უახლოეს დროში აღმოფხვრან სტიქიის შედეგებით გამოწვეული ჩამორჩენა, ღირსეული წვლილი შეიტანონ პარტიის აგრარული პოლიტიკის მოთხოვნათა განხორციელების საქმეში.

რესპუბლიკაში მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი სრულყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს აგროსამრეწველო გაერთიანებათა გამოცდილების მაღალ შეფასებას, რომელიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში.

აბაშის, მახარაძისა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონში წარმატებით განხორციელებულმა ექსპერიმენტმა დასაბამი მისცა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მექანიზაციის ძირეულ გარდაქმნის უწყებრივი ბარიერების აღმოფხვრისა და არსებული ეკონომიკური შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენების გზით.

ახალი ამოცანების წინაშე დგანან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები. მკვეთრად უნდა გაძლიერდეს მათი ზრუნვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის „გაუმჯობესებისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის საქმიანობის სრულყოფისათვის. ახლად არჩეული საბჭოების მუდმივი კომისიები, აღმასკომები, დეპუტატთა ჯგუფები უპირველეს ამოცანად უნდა ისახავდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განუწყვეტელ ზრდას, რომ თითოეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მუშაობდეს რენტაბელურად, უთუოდ სარულებდეს საგეგმო დავალებებსა და ვალდებულებებს, რომ განუწყვეტლად იზრდებოდეს სოფლის მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობის, წარმოება-დანაკისებულებების დამხმარე მეურნეობათა ეფექტიანობა და ხორციელდებოდეს საჭირო ღონისძიებები სოფლად სოციალური, კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დასრულდა ამომრჩევლთა შეხვედრები ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებთან 50.646 საარჩევნო ოლქში. თითქმის 56 პროცენტითი განსახლდება საბჭოთა შემადგენლობა. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთა შორის არიან რესპუბლიკის მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული

(დასასრული 3ე-2 გვ.)

ერთიან ოჯახში

ჩვენს ქვეყანაში მშრომელი ხალხის დიადი ძმობა იშვა და განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. სსრ კავშირში, რომლის მე-60 წლისთავის აღნიშვნისათვის ემზადება მთელი პროგრესული კაცობრიობა, შეიქმნა ურთიერთობა, რომელსაც, სამართლიანად ეწოდება ხალხთა ლენინური მეგობრობა. „ეს მეგობრობა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ჩვენი ფასდაუდებელი კეთილნლებაა. იგი სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის უძვირფასესი მონაპოვარია“.

საბჭოეთის, დიადი მრავალეროვანი სახელმწიფოს თითოეული რესპუბლიკის მოღწეულებს შთამბეჭდავ პანორამას ასახავს ექსპოზიცია „ერთიან ოჯახში“, რომელიც 18 ივნისს გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

უდიდესი პავილიონის მოედანზე, სადაც ეს გამოფენაა განლაგებული, შეიკრიბნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები, ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავენი და ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. გამოფენაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი. აქვე არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები გ. ი. მარჩუკი, ზ. ნ. ნერიევი, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების მოადგილეები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო მიტინგი გახსნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გ. ი. მარჩუკმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საიუბილეო ექსპოზიცია ღრმად და ყოველმხრივ ავლენს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოს ისტორიულ მნიშვნელობას, მკაფიოდ გვიჩვენებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხს წარმატებებს ახალი საზოგადოების შენებლობაში, განვითარებული სოციალიზმის დიად მონაპოვრებს.

მიტინგზე გამოვიდნენ ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ი. ტ. ბარულინა, სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პ. ა. როდიონოვი, მოსკოვის ოლქის ოდინცოვოს რაიონის ექსპერიმენტული მეურნეობის „ხემინოვკის“ მწველავი ზ. გ. ზაგოროდნეკა, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ა. გ. ნიკოლაევი.

ყველა საბჭოთა ადამიანის სრულ მოწონებას იმსახურებს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ წამოყენებული ახალი სამშვიდობო ინიციატივები, ხაზგასმით აღინიშნა მატიტგზე, შეეფარდნათ ბირთვულ ომს დაუძლეველი დამბაჯოლებანი — დღეს კაცობრიობის წინაშე მდგომი უმწვავესი, კარდინალური ამოცანაა, თქვეს გამოსულებმა. ყველა კეთილი ნების ადამიანს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები მიაჩნია ზუსტ ორიენტირებად, რომლებიც გვიჩვენებენ საყოველთაო უშიშროების განმტკიცების გზას.

ქვეყნის განვითარების ისტორიულ გზებს ასახავს ექსპოზიცია „მოსკოვი — სსრ კავშირის დედაქალაქი“. წითელი მოედანი, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი, კრემლი. თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი ეს ისტორიული წმიდათაწმიდა ადგილები წარმოდგენდება განუმეორებელი არქიტექტურული სახით. კომპოზიციის მოცულობითი ფორმა, რომელიც ლამის ფეიერვერკ ასოდ წარმოგვიდგება.

მოკავშირე რესპუბლიკების დიდებულ წარმატებებს ასახავს საიუბილეო გამოფენა. იგი მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას. ყველა რეგიონის ეკონომიკის დინამიკურ ზრდას, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას.

თითოეული მოკავშირე რესპუბლიკა წარმოდგენილია თავისი განყოფილებით. აქ ბევრი იმის მაგალითია, თუ როგორ ხდება კოლექტივების მიერ შეძენილი მოწინავე საწარმოო გამოცდილების სსრ კავშირის ყველა ხალხის კეთილდღეა, ენაკენი ინტერნაციონალური მნიშვნელობა. გამოფენის ბევრი სტენდი გვიჩვენებს დასახული ამოცანების გადაწყვეტის ეფექტიან გზებს. (საკადესი).

ს. კილაძის ფოტოსურათი.

20 ივნისი არჩევნების დღეა!



ამ ხაზიდან, სასიხარულო დღისთვის ემზადებოდა როგორც მთელი რესპუბლიკა და მისი დედაქალაქი, ასევე პირველი მაისის რაიონის საარჩევნო უბანი № 5. დღეს აქეთკენ დილადანე იწყებს დენის ამომრჩეველთა ნაკადი კონსტიტუციით მინიჭებული დემოკრატიული უფლების განსახორციელებლად.

ამ ხუთაზე აღმეტდილია უბნის მზადყოფნა ამომრჩეველთა მისაღებად.

ს. კილაძის ფოტო.

რვა დაუვიწყარი დღე

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დიდი თეატრის კოლექტივთან

— **საქართველოში** გატარებულმა რვა დღემ, თუმცა მეტად დაძაბული იყო, ჩაიარა შეუფერებლად, როგორც ერთმა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილებებით აღსავსე დღემ, რომლებიც დიდხანს გაგაყვება, — ასე დაგვიხატა თბილისში სსრ კავშირის დიდი თეატრის გასტროლების საერთო სურათი რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის საობერო ჯგუფის პარტიული ბიუროს მდივანმა ა. ს. ეორეშელიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ე. ა. შევარდნაძესთან მსახიობთა ჯგუფის შეხვედრის დროს, რომელიც 19 ივნისს გაიმართა.

საუბრის დროს, რომელიც თითქოს შეაჯამა ჩვენი რესპუბლიკის დადაქალაქში სახელგანთქმული კოლექტივის გასტროლების შედეგები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. შ. ჯანბერიძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი წარმატება ჰქონდა მოსკოველი მსახიობების გამოსვლებს თბილისში. ეს რვა დღე გადაიქცა ხელოვნების, მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულად, რომელიც განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთვის მომავალ იუბილეს.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გულითადად მიუღოცა დიდი თეატრის კოლექტივს წარმატებული გასტროლები, აღნიშნა ის სითბო და გულთბილობა, რომლითაც მსახიობებს ეგებებოდნენ მინდორებში თუ ქარხნებში მშრომელთა კოლექტივებთან შეხვედრების დროს.

— ეჭვი არ გვეპარებოდა ჩვენი შესანიშნავი სტუმრების წარმატებაში, აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ — მაგრამ თქვენმა გასტროლებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მოსკოველ მსახიობთა გამოსვლები, რომლებიც მაყურებელთა დარბაზში ჩვენს რესპუბლიკაში შეხვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს იზიდავდნენ, საერთოსახალხო დღესასწაულად იქცა. ეს დღესასწაული, რომელმაც ღრმა და კეთილი კვალი დატოვა, მოგონება გახდა საქართველოს არა მარტო კულტურულ, არამედ მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

თბილისში დიდი თეატრის ოსტატთა ჩამოსვლას, აღნიშნა შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, მივიჩნევთ საეტაპო მოვლენად სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისა და გეოგრაფიკის ტრაქტატის — იმ ისტორიული, ეპოქალური დოკუმენტის მე-200 წლისთავისათვის მზადების წელს, რომელმაც ქართველი ხალხი საშუალმდე დააკავშირა მეგობრობითა და ძმობით დიდ რუს ხალხთან. ჩვენ ვნახეთ, რამდენი ახალგაზრდა იყო დარბაზში თქვენი გამოსვლების დროს, რა ინტერესით, აუოდენებითა და გაგებით აღიქვამდნენ ისინი მაღალ ხელოვნებას.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმრებს გააცნო საქართველოს მშრომელთა წარმატებები საბჭოური და კულტურულ შენებლობაში.

საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ზეიმზე თბილისში ყოფნისას ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის მაღალ შეფასებას თქვა შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, მივიჩნევთ ავასსად, სტიმულად შემდგომი, უფრო მონდომებული, დამბალული, მიზანმიმართული და ნაყოფიერი მუშაობისათვის. სწორედ ამაზე ვუსაბავთ მიზნად ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ილაპარაკა მუშაობაზე, რომელიც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციი ეწევა შემომქმედებითს ინტელიგენციასთან.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა დიდი თეატრის ყველა თანამს, რომლის სცენა არაერთხელ გამშდარა სასტანტო მოედანი მომქე რესპუბლიკებს, მთ შორის საქართველოს ეუსაკალური კულტურის წარმომადგენლებისათვის. ამ სახელგანთქმულ კოლექტივში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები თავს როგორც ყველაზე მშობლიურ და ახლობელ ადამიანთა გარემოცვაში.

როცა ეს აზრი განავრცო, დიდი თეატრის სოლისტმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. ლ. სოტკილავამ ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის კოლექტივმი ქართველ მსახიობებს არასოდეს მოჰკლებიათ ამ სახელგანთქმული სცენის ოსტატთა ყურადღება და ზრუნვა. აქ იზრდებოდა და იფურჩქნებოდა ბევრი ჩვენი თანამემამულის ნიჭი. მათდამი ასეთი დამოკიდებულებით ყოველთვის მკაფიოდ ვლინდება შესანიშნავი რუსული ხასიათი, მეგობრობა, უშუალობა და სულიერი სიწმინდე, რაც ასე ახასიათებს დიდ რუს ხალხს.

შემდეგ გამოვიდა ა. ს. ეორეშელიმ, რომელმაც ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს დიდი მადლობა მოახსენა გულთბილი მასპინძლობისათვის. მან გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, კულტურის სამინისტროს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის კოლექტივს, რესპუბლიკის მშრომელთა ყველა კოლექტივს, რომელსაც დიდი თეატრის მსახიობები შეხედნენ გასტროლების დროს, ყველას, ვინც თავისი გულითადობით, ყურადღებითა და გულთბილობით ხელი შეუწყო მათს წარმატებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზოვი. (საქინფორმი).

ჯილდო სსრ კავშირის დიდ თეატრს

19 ივნისს თბილისში სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის გასტროლების დამთავრების დღეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრისათვის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის გადაცემა, რომელიც მას მიენიჭა დიდი წვლილისათვის საბჭოთა მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში და საქართველოს დედაქალაქში წარმატებულ გასტროლებთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა, როცა ჯილდოს გადასცემდა სსრ კავშირის დიდი თეატრისა და კრემლის ყრილობათა სასახლის გენერალური დირექტორის მოადგილეს ვ. კოკონინსა და თეატრის პარტკომის მდივანს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს ი. გრიგორიევს, გულთბილად მიულოცა მოსკოვის სახელგანთქმული მსახიობებს დამსახურებული წარმატება თბილისში. დიდი თეატრი, აღნიშნა მან, ჩვენი სიამაყეა. მის სცენაზე დადგმული ნაწარმოებები აკვიდრებენ ჰუმანიზმის, პროგრესის, მშვიდობისა და შეგობრობის იდეებს და მილიონობით მსმენელისა და მაყურებლის მადლიერებას იმსახურებენ. თქვენმა ხელოვნებამ ქართველ მუსიკის მოყვარულთ ჭეშმარიტი სიამონებენ მანანებ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიდი თეატრი ადამიანთა სულიერ გამდიდრებაში, მათს ზნეობრივ სრულყოფაში, და დღეს ქმაყოფილებთ აღენიშნავთ, რომ თქვენ ღირსეულად ასრულებთ ამ მაღალ მისიას.

ამხანაგმა პ. გილაშვილმა ჯილდო მიულოცა სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სახელოვანი კოლექტივის წარმომადგენლებს და უსურვა მათ ახალი შემოქმედებითი წარმატებები მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების სადიდებლად.

სსრ კავშირის დიდი თეატრის კოლექტივის სახელით მადლობა გადაიხადა ვ. კოკონინმა.

— ჩვენი გამოსვლები, — თქვა მან, — ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთვის ღირსშენავად ნათელ კვალს დატოვებს ჩვენს გულში, კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს ჩაწერს თეატრის ისტორიაში. ყურადღება, რომლითაც გარეშოსილი ვიყავით თბილისში სტუმრობისას, ბაზს უსვამს იმ დიდ საზოგადოებრივ და მხატვრულ მისიას, ჩვენს კოლექტივს რომ აკისრია. ამ ჯილდოს მიღებისას გვინდა აღვუთქვათ სტუმართმოყვარე მასპინძლებს, რომ შემოქმედებითი კონტაქტები ვიდევ უფრო გაფართოვდება, გაღრმავდება, და ჩვენი ხელოვნება კვლავაც ბაზრებს მასებს მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის კეთილშობილურ იდეალებს.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშარაშვილი. (საქინფორმი).

ნაცნობი ხმა

მშვენიერ ხელოვნებას ბაზიარებს თბილისელები სსრ კავშირის დიდი თეატრის სოპრანო დასის სოლისტებისგან. ეს იყო სახელგანთქმული მსახიობებთან ცოცხალი ურთიერთობის დღეები, თეატრის რეპერტუარსთან, ბზატრებთან გაცნობა. სტილით, ბზატრული გადაწყვეტის ხერხებით, დირიჟორული ინტერპრეტაციით განსხვავებული ოთხი სპექტაკლი ნახეს თბილისელებმა. და მაინც იყო რაღაც, რაც ამ სპექტაკლებს ერთიანობდა, რამაც მთლიანი აღქმის საშუალება მისცა მაყურებელს. რეა დღეს მუსიკა იყო თბილისელთა სტუმარი და მეგობარი.

მაინც, რით მოგვეხიბლა დიდმა თეატრმა? უწინარეს ყოვლისა დაბეგენილი პროფესიონალიზმით, მუსიკალური და რეჟისორული აზროვნების ერთიანობით და, რაც ყველაზე მთავარია, მომეფალია ჩინებული ოსტატობით, „ხელოვნებას აკადემიის“ მუდამ ნაცნობი ხმით.

ახლანდელმა გასტროლებმა ცხადყო არა მარტო ჩვენი ხალხების სულიერი სიახლოვე, არამედ მათი ნათესაობაც, რაც განსაკუთრებული ძალით იჩინა სსრ კავშირის შექმნის სახელოვანი მე-60 წლისთვის წელს.

თბილისში დამთავრდა ივნისის მუსიკალური კვირა. 19 ივნისს პოჩინის ოპერა „ტოსკა“ სტუმრთა გამოსათხოვარი სპექტაკლი იყო.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები გ. ანდრონიკაშვილი, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

სპექტაკლის დაწყების წინ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის

(დასასრული 3ე-4 გვ.)

გიორგი დიმიტროვის ხსოვნის უკვდავსაყოფად

სოხუმი. (საკ. კორ.). სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობის წინ გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობის ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გ. დიმიტროვის ხსოვნის აღსანიშნავი მემორიალური დაფის გახსნას. 1932 წლის 15 ივნისს სწორედ აქ, ამ შენობაში გამოვიდა იგი აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის XIII საქალაქო კონფერენციაზე.

მიტინგზე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ქეცბაიამ.

მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხთა მეგობრობაზე, გ. დიმიტროვის უდიდეს საერთაშორისო ავტორიტეტზე, იმ სოვარიულ, რომლითაც მის სახელს ახსენებენ ჩვენს ქვეყანაში.

მემორიალური დაფის გახსნაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. კობახია, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უბილავა და სხვ.

გორგასლის ხეობის თვალწარმტაცი კუთხეში — სანატორიუმ „ლიკანის“ პარკში დადგა გიორგი დიმიტროვის ბიუსტი. მისი გახსნის ცერემონიით ამ დიდებულ ბორკომის საზოგადოებრიობის მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ბულგარელი ხალხის გმირული შვილის, მებრძოლი რევოლუციონერისა და ინტერნაციონალისტის დაბადების მე-100 წლისთავს.

ბიუსტის ავტორი სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიისა და გიორგი დიმიტროვის სახელობის პრემიის ლაურეატი მოქანდაკე კონსტანტინე მერაბიშვილი.

გიორგი დიმიტროვის ბიუსტის გახსნის ცერემონიასა და მიტინგში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზოვი. (საქინფორმი).

ლოკუმენტების კრებული

-გამოიცა დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1982 წლის 1-4 ივნისს სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შესახებ, რომელიც მეთაურობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გუსტავ ჰუსაკი.

კრებულში შეტანილია ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ჰუსაკის სიტყვები, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი კომუნიკე და სხვა მასალები.

კრებული გამოუშვა პოლიტგამშეცდლობამ. (საკადესი).

მიფრინავს „კოსმოს-1379“

1982 წლის 18 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1379“.

თანამგზავრზე დადგმული საშენერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო გამოკვლევები შესრულდება. მიღებული ინფორმაციას ამუშავებს საკორდინაციოთვალთვალი ცენტრი. (საკადესი).

საბჭოთა დემოკრატია მოქმედებს!

ხალხის სამსახურში!

(დასასრული)

მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები, სამხედრო მოსამსახურენი და სხვანი, სახალხო მოსამართლეებად კი საქმის მცოდნე, კვალიფიციური, გამოცდილი სამართლისმცოდნეები.

ეჭვი არ არის, რომ არჩევნები ერთხელ კიდევ დაადასტურებენ სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების ზეიმს, შემდგომ განამტკიცებენ პარტიისა და ხალხის ერთიანობას.

მიმდინარე წლის 10 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს და ლატვიის სსრ ტალსინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილების საკითხი და მოიწონა ამ რეგიონებში სოფლის მეურნეობის მართვის ორგანიზაციის ექსპერიმენტის შედეგები.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა იმთავითვე დაიწყეს ზრუნვა აღნიშნული დადგენილებით დასახული ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად. გაიმართა ყველა დონის ადგილობრივი საბჭოს რიგგარეშე სესიები, რომლებმაც შეიმუშავეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის კომპლექსური ღონისძიებანი.

სესიები გაიმართა დეპუტატებისა და მშრომელთა მაღალი აქტიურობის ვითარებაში. საკითხების განხილვაში მონაწილეობდა 6.000-ზე მეტი დეპუტატი.

პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის ერთსულოვანი მხარდაჭერის მკაფიო გამოხატვაა ის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალებისა და სასურსათო პროგრამის გამოქვეყნებისთანავე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში განუწყვეტელ ნაკადად მოედინება ადგილობრივი საბჭოების, დეპუტატების, მუდმივი კომისიების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოების ხელმძღვანელების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაკების, მოწინავე მუშების, კოლმეურნეების წერილები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯების შესახებ და კონკრეტულ წინადადებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის, სოფლად მშენებლობის, ტრანსპორტის, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საწარმოთა საქმიანობის სრულყოფის თაობაზე.

მაგალითად, ცნობილი მეზვრეები და მექანიზატორები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. ბოსტოლანაშვილი, ვ. იმერლიშვილი, შ. რუაძე, მ. ბახუტაშვილი, ნ. ალადაშვილი და სხვანი, მიუხედავად სეტყვიანობისა და ...

[illegible]

უბანი მზად არის

... ტემატურად იკრიბებიან აქ გამართულ მასობრივ ღონისძიებებზე. კლუბში განსაკუთრებით ხალხმრავლობაა ახლა. აქ მოთავსებულია ადგილობრივი საბჭოების და სახალხო მოსამართლეთა არჩევნების № 1 საარჩევნო უბანი.

... ქმული მდხოველი ოთარ გაიეი... ლაძე თავის წერილში „წარმატებით ვხვდებით“ მკითხველს აცნობს ამ პოლიტიკური კამპანიისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, ხოლო ახალგაზრდა ამომრჩევლის ლია ვარდოსანიძის კორესპონდენცი...

... ნიძე, ტ. ჩხეიძე და სხვები, რომლებიც თავიანთი სააგიტაციო უბნების ხშირი სტუმრები იყვნენ, საბოლოოდ დააზუსტეს ამომრჩეველთა სიები, აწყობდნენ საინტერესო საუბრებს, პასუხს აძლევდნენ ამომრჩეველთა მიერ დასმულ კითხვებზე.

სამართლის სადარაჯოზე, კანონის სახელით!

ა. შუშანაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

სტიტუციური პრინციპია მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე. ჩვენთან არ არსებობს განსაკუთრებული კანონები და სასამართლოები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა თუ პირთა ჯგუფებისათვის. კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია, მიუხედავად წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხა გარემოებისა. ჩადენილი სამარ...

მსაჯულების რთული ფუნქციის განხორციელებისათვის მარტო აღნიშნული პირობები არ კმარა. სასამართლო საქმიანობის სპეციფიკა და სირთულე მოსამართლეებს მეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს.

მოსამართლე, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს კანონის, სამართლის მცოდნე. მართლმსაჯულება კანონიერების განხორ...

[illegible]

... ჩილებიან. ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ კონტროლს იმისადმი, თუ როგორ ასრულებს, როგორ იცავს სასამართლო მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპს.

... ფუძეულზე.

მოსამართლე უნდა იყოს მამაცი, მართალი კანონისა და საკუთარი სინდისის წინაშე, მას არ უნდა ეშინოდეს თავისი ფუნქციების სწორად განხორციელებისა, არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, თუ მის მიერ მიღებული ...

... პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი იური ტყეშელაშვილი, რუსთავის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი გულნარა ჯიმშელაძე, თბილისის პირველი სანოტარო კანტორის ნოტარიუსი მარამ ...

... ხელმწიფოს ინტერესებისა და მშრომელთა უფლებების დაცვის სადარაჯოზე, თავიანთი თავდადებული და მამაცური შრომით ღირსეული წვლილი შეჰქონდეთ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა უპირველესი ამოცანები

გვესაუბრება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი
გ. ლეჟავა

საბჭოთა ადამიანები ყოველწლიურად ივნისში აღნიშნავენ ...

[illegible]

... ლი პროგრამის შემუშავება და განხორციელება — ასეთია ჩვენი უპირველესი ამოცანები მეთერთმეტე ხუთწლედში, — თქვა მინისტრმა.

მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებას, სამეცნიერო კვლევის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო სამეცნიერო-პრაქტიკულ გაერთიანებათა ...

... ბისათვის. თბილისის პოლიკლინიკებში შემოვიღეთ „პროფესორის დღეები“. საქართველოს დედაქალაქის სასწავლო და სამეცნიერო სამედიცინო ინსტიტუტებში მომუშავე მაღალკვალიფიციური კლინიცისტები გარკვეულ დღეებში ავადმყოფებს იღებენ ქალაქის პოლიკლინიკებში, აგრეთვე რეს...

[illegible]

... ლობის დაცვის საქმიანობაში ნაკლოვანებები არ გვქონდეს. გვაქვს და, სამწუხაროდ,—საკმაოდაც. კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდის გაუმჯობესების, კადრების მომზადებისა და განაწილების სრულყოფის, მათთვის დაკისრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში — საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მედიცინის მუშაკთა პასუხისმგებლობის გადიდებისათვის.

სკკპ XXVI ყრილობამ და ...

[illegible]

20 ივნისი — მედიცინის მუშაკის დღეა

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი აღნიშნონ მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებით — ამ დევიზით ზეიმობენ წელს თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს ქვეყნის მედიკოსები.

მედიცინის მუშაკთა დღეს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 18 ივნისს გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჩითანავა, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი...

... რი კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. გოგოძემ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის

მედიკოსთა დღესასწაული

მინისტრის პირველმა მოადგილემ კ. გეგელაშვილმა.

რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა დიდი არმიის წარმომადგენლებს გულთბილად მიესალმნენ სოციალისტური შრომის გმირი, ...

ლიკლინიკის კოლექტივს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საზოგადოებრივი დათვალიერების გასული წლის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დიპლომები მიენიჭათ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისხლის გადასხმის, თერაპიის და ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარ...

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების აკრძალვისა და მისი მოსპობის კონვენციის ძირითადი დებულებანი

სსრ კავშირის წინადადება

ქიმიური იარაღი — ეს არის მოსპობის ბარბაროსული საშუალება. მან უკვე შეიწირა ათიათასობით სიცოცხლე, დაასახიჩრა მილიონობით ადამიანი. ამჟამად კაცობრიობას შექმნა მრავალგზის უფრო საშიშ სახეობათა ქიმიური იარაღის მასირებული გამოყენების საფრთხე.

ხალხები მოითხოვენ არ დავუშვათ ეს, გამოვრიცხოთ თვით ქიმიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობა მისი წარმოების აკრძალვისა და არსებული მარაგის განადგურების გზით.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იღვწის ამისათვის. ჟენევის 1925 წლის ოქმის ჰუმანური მიზნების ერთგულ საბჭოთა კავშირს არასდროს და არსად არ გამოუყენებია ქიმიური იარაღი, ისევე როგორც არ გადაუცია იგი სხვისთვის.

ამოძრავებს რა ქიმიური იარაღის ყოვლისმომცველი და ეფექტიანი აკრძალვის სურვილი, საბჭოთა კავშირს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების განსახილველად შეაქვს შესაბამისი კონვენციის ქვემოთ მოყვანილი ძირითადი დებულებანი.

I. აკრძალვის მოცულობა

ზოგადი დებულებანი

კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას არასდროს და არავითარ ვითარებაში არ შეიმუშაოს, არ აწარმოოს, არ შეიძინოს რაიმე სხვა გზით, არ დააგროვოს, არ შეინახოს, არ გადასცეს სხვას ქიმიური იარაღი და მოსპოს ან მოახმაროს ნებადართულ მიზნებს ასეთი იარაღის არსებული მარაგი და გააუქმოს ან დაშალოს ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქიმიური იარაღის წარმოების სიმძლავრეებს.

ქიმიური იარაღის განსაზღვრა

კონვენციის მიზნებისათვის „ქიმიური იარაღი“ ნიშნავს:

ა) ზეტოქსიკურ მომაკვდინებელ ქიმიკატებს, სხვა მომაკვდინებელ და მავნე ქიმიკატებს, აგრეთვე მათ პრეკურსორებს, იმათი გამოკლებით: რომლებიც განკუთვნილია არამტრული მიზნებისათვის ან სამხედრო მიზნებისათვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული ქიმიური იარაღის გამოყენებასთან, და ისეთი სახეობისა და ისეთი რაოდენობისა, რომლებიც შეესაბამება ამ მიზნებს;

ბ) საბრძოლო მასალა ან მოწყობილობა, რომლებიც სპეციალურად არის განკუთვნილი მომაკვდინებელი ან სხვაგვარი ზიანის მიყენებისათვის იმ ქიმიკატების ტოქსიკური თვისებების ხარჯზე, რომლებიც გამოთავისუფლდება ამ საბრძოლო მასალის ან მოწყობილობის, მათ შორის ბინარული ან მრავალკომპონენტიანი აღჭურვილობის გამოყენების შედეგად;

გ) მოწყობილობა, რომელიც სპეციალურად არის განკუთვნილი ასეთი საბრძოლო მასალის ან მოწყობილობის გამოყენებასთან უშუალო დაკავშირებით მოხმარებისათვის.

სხვა განსაზღვრებანი

კონვენციის მიზნებისათვის:

1. ცნებები „ზეტოქსიკური მომაკვდინებელი ქიმიკატი“, „სხვა მომაკვდინებელი ქიმიკატი“, „მავნე ქიმიკატი“ განისაზღვრება ამ კატეგორიათაგან თითოეულის ტოქსიკურობის კონკრეტული კრიტერიუმების (მომაკვდინებლობის ან მავნეობის) საფუძველზე (დადგინდება კონვენციაში განიარაღების კომიტეტში დათქმულ დონეთა საფუძველზე).

2. „ნებადართული მიზნები“ ნიშნავს არამტრულ მიზნებს და სამხედრო მიზნებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ქიმიური იარაღის გამოყენებასთან.

3. „არამტრული მიზნები“ ნიშნავს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საკვლევ, სამედიცინო ან სხვა მშვიდობიან მიზნებს, მართლწესრიგის ხელშემწყობ მიზნებს ან უშუალოდ ქიმიური იარაღისაგან დაცვასთან დაკავშირებულ მიზნებს.

4. კონვენციაში განისაზღვრება აგრეთვე ისეთი ცნებები, როგორიც არის „ქიმიკატი“, „ინკაპასიტანტი“, „ირიტანტი“, „პრეკურსორი“, „სიმძლავრე“, „ობიექტი“.

გადაცემის აკრძალვა

კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო იკისრებს ვალდებულებას:

ა) არ გადასცეს არავის, ვინც უნდა იყოს იგი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ არავითარი ქიმიური იარაღი;

ბ) არ გადასცეს არავის, ვინც უნდა იყოს იგი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მეორე მონაწილე სახელმწიფოს გამოკლებით, არავითარი ზეტოქსიკური მომაკვდინებელი ქიმიკატები, ინკაპასიტანტები, ირიტანტები და მათი პრეკურსორები თუნდაც ნებადართული მიზნებისათვის;

გ) არ დაეხმაროს არავის, ვინც უნდა იყოს იგი, აგრეთვე არ წაახალისოს და არ წააქეზოს არავინ, ვინც უნდა იყოს იგი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ კონვენციით აკრძალული საქმიანობისათვის.

განულაგებლობა

კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო იკისრებს ვალდებულებას არ განალაგოს ქიმიური იარაღი, მათ შორის, ბინარული და მრავალკომპონენტიანი, სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე, აგრეთვე გაიტანოს მთელი თავისი ქიმიური იარაღი უცხოეთის სახელმწიფოების ტერიტორიიდან, თუ იგი იქ წინათ ჰქონდა განლაგებული (ამ ვალდებულების შესრულების ვადები კონვენციით დადგინდება).

ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობა ან სხვა მიზნით მოხმარება

1. კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო იკისრებს ვალდებულებას მოსპოს ან არამტრული მიზნებისათვის მოიხმაროს ქიმიური იარაღის არსებული მარაგი ასეთი მიზნებისათვის შესაფერისი მოცულობით.

2. ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობას ან სხვა მიზნით მოხმარებას ყოველი მონაწილე სახელმწიფო იწყებს არაუგვიანეს 2 წლისა და ამთავრებს არაუგვიანეს 10 წლისა მას შემდეგ, რაც იგი კონვენციის მონაწილე ხდება.

კეთილი ნების გამოვლენის წესით მოსპობის პირვანდელი ოპერაციების განხორციელება კონვენციის მოქმედების დაწყებით ეტაპზევე შეუძლია ქიმიური იარაღის მქონე ყოველ მონაწილე სახელმწიფოს.

ქიმიური იარაღის წარმოების სიმძლავრეთა უზრუნველმყოფი ობიექტების ლიკვიდაცია ან დროებითი გადაკეთება

1. კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო იკისრებს ვალდებულებას მოსპოს ან დაშალოს ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქიმიური იარაღის წარმოების სიმძლავრეებს.

2. ქიმიური იარაღის წარმოების სიმძლავრეთა უზრუნველმყოფი ობიექტების ლიკვიდაციის ან დაშლის ოპერაციები იწყება არაუგვიანეს 8 წლისა და მთავრდება არაუგვიანეს 10 წლისა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო კონვენციის მონაწილე გახდა.

3. კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობის მიზნით დროებით გადააკეთოს ობიექტები, რომლებზეც წინათ იწარმოებოდა ასეთი იარაღი, აგრეთვე განახორციელოს ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობა სპეციალიზებულ ობიექტზე ან ამ მიზნით შექმნილ ობიექტებზე.

ნებადართული საქმიანობა

1. კონვენციის მონაწილე ყოველ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება შეინახოს, აწარმოოს, შეიძინოს და გამოიყენოს ნებადართული მიზნებისათვის ნებისმიერი ტოქსიკური ქიმიკატები და მათი პრეკურსორები, ისეთი სახეობის და ისეთი რაოდენობისა, რომლებიც შეესაბამება ასეთ მიზნებს.

2. წარმოებული, მარაგიდან გადაგზავნილი და რაიმე სხვა ხერხით შეძენილი ნებადართული მიზნებისათვის განკუთვნილი ზეტოქსიკური მომაკვდინებელი ქიმიკატების კრებსითი რაოდენობა, ყოველწლიურად ან ფაქტობრივად არსებული, ნებისმიერ მომენტში უნდა იყოს მინიმალური და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეტრულ ტონას კონვენციის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

3. ყოველი მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს ზეტოქსიკური მომაკვდინებელი ქიმიკატების წარმოებას ნებადართული მიზნით, ასეთ წარმოებას თავს უყრის სპეციალურად დასათქმელი შესაბამისი სიმძლავრის ერთ სპეციალიზებულ ობიექტში.

მოსახლეობისა და გარემოს დაცვა

ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობასთან ან სხვა მიზნით გამოყენებასთან და მისი წარმოების საშუალებათა ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს სიფრთხილის ყველა საჭირო ღონისძიება მოსახლეობისა და გარემოს დაცვის მიზნით.

განვითარების მიზნების ხელშეწყობა

კონვენცია ხელს უნდა უწყობდეს მისი მონაწილეების ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების და მშვიდობიანი ქიმიური საქმიანობის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის სასიკეთო წანამძღვრების შექმნას. ამასთან უნდა გამოირიცხოს კონვენციის მიზნებთან დაუკავშირებელ საქმიანობის სფეროებში ჩარევის შესაძლებლობა.

II. გამოცხადება და ნდობის ღონისძიებები

1. კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო იკისრებს ვალდებულებას კონვენციის ძალაში შესვლიდან ან კონვენციასთან შეერთებიდან არაუგვიანეს 30 დღისა გამოაცხადოს:

აქვს თუ არა მას ქიმიური იარაღი და მისი წარმოების სიმძლავრენი;

— ქიმიური იარაღის არსებული მარაგის მოცულობა და მისი წარმოების სიმძლავრენი;

— ვინმესთვის, ვინც უნდა იყოს იგი, ქიმიური იარაღის, მისი საწარმოო ტექნოლოგიური მოწყობილობის და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემის მოცულობა, რასაც ადგილი ჰქონდა 1946 წლის 1 იანვრის შემდეგ;

— ყოველი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ქიმიური იარაღის მარაგის და მისი მოცულობის, ქიმიური იარაღის წარმოების ობიექტების და მათი სიმძლავრეების არსებობის ან არარსებობის შესახებ, რომლებსაც კონტროლი ეწევა ან რომლებიც დატოვა ნებისმიერმა სხვა სახელმწიფომ, სახელმწიფოთა ნებისმიერმა ჯგუფმა, ნებისმიერმა ორგანიზაციამ ან კერძო პირმა.

2. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ კონვენციის ძალაში შესვლის ან კონვენციასთან შეერთებიდან არაუგვიანეს 30 დღისა უნდა გააკეთოს განცხადება იმის შესახებ, რომ მან შეწყვიტა ყოველგვარი საქმიანობა ქიმიური იარაღის საწარმოებლად და ამ იარაღის, აგრეთვე მისი წარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობის და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის ვინმესთვის გადაცემამდე, ვინც უნდა იყოს იგი.

3. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულებას იკისრებს გამოაცხადოს კონვენციის ძალაში შესვლიდან ან მასთან შეერთებიდან არაუგვიანეს 6 თვისა ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობის ან ნებადართული მიზნებისათვის გამოყენების გეგმები, აგრეთვე გამოაცხადოს არაუგვიანეს ერთი წლისა ქიმიური იარაღის წარმოების სიმძლავრეთა უზრუნველმყოფი ობიექტების ლიკვიდაციის ან დაშლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი წლით ადრე მათი ლიკვიდაციისა და დაშლის გეგმები და მიუთითოს ამ ობიექტების ადგილსამყოფელი.

ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ, რომელიც ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობას ახორციელებს ამ მიზნით დროებით გადაკეთებულ ობიექტზე (ობიექტებზე) ან სპეციალიზებულ ობიექტზე, უნდა გამოაცხადოს აღნიშნული ობიექტის (ობიექტების) ადგილსამყოფელი ამ მარაგის მოსპობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში.

5. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ, რომელიც სპეციალიზებულ ობიექტზე ახორციელებს ნებადართული მიზნებისათვის ზეტოქსიკური მომაკვდინებელი ქიმიკატების წარმოებას, უნდა გამოაცხადოს მისი ადგილსამყოფელი ამ ობიექტის ფუნქციონირების დაწყების მომენტისათვის.

6. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა იკისროს ვალდებულება:

ა) პერიოდულად შეატყობინოს ქიმიური იარაღის არსებული მარაგის მოსპობის ან ნებადართული მიზნებისათვის გამოყენების გეგმის რეალიზაციის მიმდინარეობა, აგრეთვე ქიმიური იარაღის წარმოების სიმძლავრეთა უზრუნველმყოფი ობიექტების ლიკვიდაციის ან დაშლის გეგმის რეალიზაციის მიმდინარეობა. თუ ასეთი ღონისძიებები ხორციელდება გეგმით გათვალისწინებულ ვადებზე ადრე, მონაწილე სახელმწიფო გზავნის შესაბამის შეტყობინებას;

ბ) გაგზავნოს შესაბამისი შეტყობინება ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობის ან ნებადართული მიზნებისათვის გამოყენების გეგმის ყოველი ეტაპის რეალიზაციის დაწყებამდე და ქიმიური იარაღის წარმოების სიმძლავრეთა უზრუნველმყოფი ობიექტების ლიკვიდაციის ან დაშლის გეგმის ყოველი ეტაპის დაწყებამდე სამი თვით ადრე; ლიკვიდაციით ან დასაშლელი ობიექტების ადგილსამყოფელს აცნობებენ შესაბამისი შეტყობინებით;

გ) ქიმიური იარაღის მოსპობიდან ან მარაგის სხვა მიზნებისათვის გამოსაყენებლად გადაგზავნიდან და ქიმიური იარაღის წარმოების სიმძლავრეთა უზრუნველმყოფი ობიექტების ლიკვიდაციიდან ან დაშლიდან არაუგვიანეს 30 დღის შემდეგ გააკეთოს შესაბამისი განცხადებანი ამის შესახებ.

7. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა იკისროს ვალდებულება გააკეთოს ყოველწლიური განცხადებანი იმის თაობაზე, რომ აწარმოებს, მარაგიდან სხვა მიზნით მოიხმარს, შეიძენს და გამოიყენებს:

— ზეტოქსიკურ მომაკვდინებელ, სხვა მომაკვდინებელ და მავნე ქიმიკატებს უშუალოდ ქიმიური იარაღისაგან დაცვასთან დაკავშირებული მიზნებისათვის;

— ზეტოქსიკურ მომაკვდინებელ ქიმიკატებს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საკვლევი, სამედიცინო ან სხვა მშვიდობიანი მიზნებისათვის, აგრეთვე სამხედრო მიზნებისათვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული ქიმიური იარაღის გამოყენებასთან;

— სხვა მომაკვდინებელ და მავნე ქიმიკატებს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საკვლევი, სამედიცინო ან სხვა მშვიდობიანი მიზნებისათვის, აგრეთვე ირიტანტებს მართლწესრიგის ხელშეწყობის მიზნით.

8. მონაწილე სახელმწიფოები იმით იხელმძღვანელებენ, რომ ნებადართული მიზნებისათვის წარმოებული, შეძენილი, შენახული და გამოყენებული ქიმიკატები და პრეკურსორები, იმ შემთხვევაში თუ ისინი განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიან ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული მიზნებისათვის მათი შესაძლო მოხმარების თვალსაზრისით, ექვემდებარება შესაბამის სიებში შეტანას. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა იკისროს ვალდებულება ყოველწლიურად წარადგინოს ინფორმაცია ამ სიებში შესატანი ქიმიკატებისა და ქიმიკატთა პრეკურსორების შესახებ.

9. ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა იკისროს ვალდებულება, რომ შეატყობინებს კონვენციით აუკრძალავ შემთხვევებში ნებისმიერი სხვა მონაწილე სახელმწიფოსათვის ზეტოქსიკური მომაკვდინებელი ქიმიკატების, ინკაპასიტანტებისა და ირიტანტების, აგრეთვე სხვა იმ ქიმიკატების ყოველ გადაცემას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბინარული ან მრავალკომპონენტური აღჭურვილობის ქიმიური იარაღის კომპონენტებად.

10. ზემოხსენებული გამოცხადებანი, გეგმები, შეტყობინებები და განცხადებები გაეგზავნება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების საკონსულტაციო კომიტეტს. მათი შინაარსი, აგრეთვე საჭირო სიების შედგენის წესი ექვემდებარება კონვენციით განსაზღვრას.

III. კონვენციის დაცვის უზრუნველყოფა

ზოგადი დებულებანი კონტროლის შესახებ

1. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კონვენციის დებულებათა დაცვისადმი კონტროლისათვის საქმიანობას ამყარებენ ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებების შეხამებაზე.

2. კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს განახორციელოს ნებისმიერი შინაგანი ღონისძიებანი, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს თავისი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, კონვენციის დებულებათა საწინააღმდეგო ყოველგვარი საქმიანობის ასაკრძალავად და თავიდან ასაცილებლად, მისი იურისდიქციით ან მისი კონტროლით ყველგან, სადაც უნდა იყოს.

3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოში კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობის მიზნით შეიძლება შეიქმნას საჭირო იურიდიული უფლებებით აღჭურვილი ეროვნული კონტროლის კომიტეტი (ეროვნული საკონტროლო ორგანიზაცია), რომლის შემადგენლობას, ფუნქციებსა და საქმიანობის მეთოდებს განსაზღვრავს თვით კონვენციის მონაწილე სახელმწიფო მისი კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად.

4. სხვა მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის დებულებათა დაცვაში უცილობლად დარწმუნების მიზნით ყოველ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს გამოიყენოს მის განკარგულებაში კონტროლის ეროვნული ტექნიკური საშუალებანი ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

კონტროლის ეროვნული ტექნიკური საშუალებების მქონე მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ საჭირო შემთხვევაში გადასცენ კონვენციის სხვა მონაწილეთა განკარგულებაში ამ საშუალებათა დახმარებით მიღებული ინფორმაცია.

5. კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო ვალდებულებას იკისრებს არ შეუქმნას დაბრკოლებები, მათ შორის შენიღბვის წინასწარგანზრახულ ღონისძიებათა გამოყენების გზით, სხვა მონაწილე სახელმწიფოების კონტროლის ეროვნულ ტექნიკურ საშუალებებს.

6. კონტროლის საერთაშორისო ღონისძიებანი განხორციელდება საერთაშორისო პროცედურების გამოყენებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მისი წესდების შესაბამისად და, მონაწილე სახელმწიფოთა შორის კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მეშვეობით, აგრეთვე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა საკონსულტაციო კომიტეტის მომსახურების შემწეობით.

კონსულტაციები და თანამშრომლობა

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ მოითათბირონ და ითანამშრომლონ ერთმანეთთან ნებისმიერი საკითხის გადაჭრაში, რომელიც შეიძლება წამოიჭრას კონვენციის მიზნების მიმართ ან მისი დებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

2. მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთს გაუზიარებენ ორმხრივი წესით ან საკონსულტაციო კომიტეტის მეშვეობით ინფორმაციას, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევენ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში უცილობლივ დარწმუნებისათვის.

3. კონსულტაციები და თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში და მისი წესდების შესაბამისად საერთაშორისო პროცედურების გამოყენების გზით. ეს პროცედურები შეიძლება მოიცავდნენ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების სამსახურით სარგებლობას საკონსულტაციო კომიტეტის სამსახურის დამატებით.

4. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა კონვენციის ეფექტიანობის ამაღლების ინტერესებისათვის უნდა მოილაპარაკონ ჯეროვანი ფორმით ყოველგვარი ისეთი მოქმედების დაუშვებლობის შესახებ, რომლის მიზანია განზრახ გააყალბოს ფაქტობრივი საქმეთა მდგომარეობა სხვა მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების საკონსულტაციო კომიტეტი

1. საერთაშორისო კონსულტაციებისა და თანამშრომლობის უფრო სრული განხორციელების, ინფორმაციის გაზიარებისა და კონვენციის დებულებათა დაცვის ინტერესებისათვის შემოწმების ხელშეწყობის მიზნით მონაწილე სახელმწიფოები კონვენციის ძალაში შესვლიდან 30 დღის მანძილზე დააფუძნებენ საკონსულტაციო კომიტეტს. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს დანიშნოს ამ კომიტეტში თავისი წარმომადგენელი.

2. საკონსულტაციო კომიტეტს იწვევენ საჭიროებისამებრ, აგრეთვე კონვენციის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოს თხოვნით ასეთი თხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

3. სხვა საკითხები, რომლებიც ეხება საკონსულტაციო კომიტეტს, მისი შესაძლო დამხმარე ორგანოების ორგანიზაციასა და პროცედურებს, მათ ფუნქციებს, უფლებებს, მოვალეობებს, საქმიანობის წესს, კომიტეტის როლს ადგილებზე შემოწმებისას, ეროვნულ საკონტროლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმებს, და დანარჩენი საკითხები უნდა დამუშავდეს.

კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა. შემოწმებანი ადგილზე

1. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს ორმხრივი წესით ან საკონსულტაციო კომიტეტის მეშვეობით მოსთხოვოს მეორე მონაწილეს, რომლის მიმართაც დაიბადა ეჭვი კონვენციის დარღვევის თაობაზე, ინფორმაცია საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო, რომელსაც ასეთი მოთხოვნა გაუგზავნეს, წარუდგენს მომთხოვნის გამომგზავნ მონაწილე სახელმწიფოს ინფორმაციას ასეთ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ორმხრივი წესით ან საკონსულტაციო კომიტეტის მეშვეობით გაუგზავნოს მეორე მონაწილე სახელმწიფოს, რომლის მიმართაც დაიბადა ეჭვი კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით, მოთხოვნა ადგილზე შემოწმების მოწყობის შესახებ. ასეთი მოთხოვნა შეიძლება გაიგზავნოს მას შემდეგ, რაც ამოიწურება ამ კარის 1-ლი პუნქტის ფარგლებში ფაქტობრივი მდგომარეობის გამორკვევის შესაძლებლობა, და იგი უნდა შეიცავდეს საქმესთან დაკავშირებულ მთელ ინფორმაციას, აგრეთვე ყველა შესაძლო მტკიცებას, რომლებიც მის საფუძვლიანობას ასაბუთებენ.

მოთხოვნა, კერძოდ, შეიძლება გაიგზავნოს იმ შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ქიმიური იარაღის არსებული მარაგის მოსპობას, აგრეთვე მისი წარმოების სიმძლავრეთა უზრუნველმყოფი ობიექტების ლიკვიდაციას ან დაშლას. მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც მოთხოვნა გაეგზავნა, შეუძლია დაიკავოს კეთილსასურველი პოზიცია ასეთი მოთხოვნის მიმართ, ანდა მიიღოს სხვაგვარი გადაწყვეტილება. მან დროულად უნდა აცნობოს მომთხოვნის გამგზავნ მონაწილე სახელმწიფოს თავისი გადაწყვეტილება და, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის მზად დათანხმდეს შემოწმების მოწყობას, წარუდგინოს სათანადო დამაჯერებელი შესაბამისი ახსნა-განმარტება.

3. ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობის ან ნებადართული მიზნებისათვის მოხმარების პერიოდში გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმის შესაძლებლობა, რომ ადგილზე მოეწყოს სისტემატური საერთაშორისო შემოწმებები (მაგალითად, შეთანხმებული კვოტის საფუძველზე) გადაკეთებულ ან სპეციალიზებულ ობიექტზე (ობიექტებზე) მარაგის მოსპობის დასადგენად.

4. კონვენციით გათვალისწინებული უნდა იყოს იმის შესაძლებლობა, რომ ადგილზე მოეწყოს საერთაშორისო შემოწმებანი (მაგალითად, შეთანხმებული კვოტის საფუძველზე) სპეციალიზებულ ობიექტზე ნებადართული მიზნებისათვის ზეტოქსიკური მომაკვდინებელი ქიმიკატების წარმოების დასადგენად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში საჩივრების შეტანის პროცედურის გამოყენება. დახმარების გაწევა

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ რომელიმე მეორე მონაწილე სახელმწიფო მოქმედებდა ან, შესაძლოა, მოქმედებს კონვენციის დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევით, უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში. ასეთი საჩივარი უნდა შეიცავდეს საქმესთან დაკავშირებულ მთელ ინფორმაციას, აგრეთვე ყველა შესაძლო მტკიცებას, რომლებიც ამ საჩივრის საფუძვლიანობას ასაბუთებენ.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს ითანამშრომლოს ნებისმიერი გამოძიების მოწყობაში, რომელიც შეიძლება მოიმოქმედოს უშიშროების საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული საჩივრის საფუძველზე. უშიშროების საბჭომ მონაწილე სახელმწიფოებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების შედეგების შესახებ.

3. კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად დახმარება გაუწიოს ან მხარი დაუჭიროს დახმარებას ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოსადმი, რომელიც ასეთი დახმარების თხოვნით მიმართავს, უკეთუ უშიშროების საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ასეთ მონაწილეს შექმნია ან, შესაძლოა, ექმნება საფრთხე იმის გამო, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არღვევს ამ კონვენციის მიხედვით ნაკისრ ვალდებულებებს.

კავშირი ჟენევის 1925 წლის ოქმთან

კონვენციაში არაფერი არ უნდა იქნეს განმარტებული როგორც იმ ვალდებულებათა რაიმე სახით შემზღუდველი ან დამაკნინებელი, რომლებიც ყოველმა სახელმწიფომ მიიღო ომში მხუთავი, შხამიანი ან სხვა მსგავსი გაზების და ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენების აკრძალვის შესახებ ჟენევის 1925 წლის 17 ივნისის ოქმის, ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვის და მათი მოსპობის კონვენციის, აგრეთვე გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვაგვარი მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ კონვენციის შესაბამისად.

IV. კონვენციის დასკვნითი დებულებანი

გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონვენციის ხელმოწერის, მისი რატიფიკაციისა და ძალაში შესვლის წესი, დებულებანი დეპოზიტარის შესახებ, სახელმწიფოთა კონვენციასთან შეერთების და კონვენციიდან გასვლის წესი, კონვენციის შესწორებათა შეტანის მექანიზმი, მისი მოქმედების განხილვისადმი მიძღვნილი კონფერენციების მოწყობის ვადები და ასეთი კონფერენციების სტატუსი.

ძველი პოზიციებიდან

რეიგანი ამართლებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების მეორე სპეციალურ სესიაზე გამართული საერთო დისკუსიის დროს გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. რეიგანი. თეთრმა სახლმა პრეზიდენტის სიტყვა, ჯერ კიდევ სანამ წარმოთქვამდა, წარმოადგინა როგორც „ადმინისტრაციის წვლილი მშვიდობის საქმეში“. სინამდვილეში კი პრეზიდენტის გამოსვლა ეს იყო მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების იმ პოლიტიკის რიტორიკული გამართლება, რომლის მიზანია ძირი გამოუთხაროს დაძაბულობის შენელებას და გაამწვავოს საერთაშორისო დაძაბულობა.

პრეზიდენტი კვლავ თავს დაესხა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ისევე, როგორც დასავლეთ ევროპაში თავისი მოგზაურობის დროს, აგრეთვე გაიმეორა ის ამერიკული „იდეები“, რომლებიც ფაქტობრივად მიზნად ისახავს არსებული სტრატეგიული თანასწორობის ლიკვიდაციას და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ცალმხრივ უპირატესობათა მინიჭებას. ერთი მხრივ, რ. რეიგანი ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „არასოდეს ყოფილა აგრესორი“, თუმცა, როგორც ცნობილია, იგი ათი წლის მანძილზე მთელი მსოფლიოს თვალწინ იწეოდა აგრესიულ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების მიუხედავად იგი ცდილობდა საბჭოთა კავშირი წარმოედგინა როგორც გამალებული შეიარაღების მთავარი დამნაშავე, უხეშად ამახინჯებდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, ამასთან აყალბებდა მონაცემებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სამხედრო ხარჯების შესახებ და ა. შ. ამავე დროს იგი ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები „ავლენდა ცალმხრივ თავშეკავებას“, ხოლო საბჭოთა კავშირი, როგორც მან თქვა, „წინ მიიწევდა და ახლა აქვს იმდენი ბირთვული და ჩვეულებრივი იარაღი, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება შეკავებისათვის საჭირო რაოდენობას“.

მეორე მხრივ, რ. რეიგანი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ შეერთებულმა შტატებმა ლამის ყველაზე მეტი გააკეთა, რათა თავიდან აეცილებინა „ხალხებისათვის ბირთვული კატასტროფის საფრთხე“, მაგრამ ყველაფერი, რაც მან განუცხადა გენერალურ ასამბლეას, აღმოჩნდა პრეზიდენტის მხოლოდ წინანდელი გამონათქვამების გამეორება ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვულ იარაღზე, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების პრობლემაზე.

პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ განიარაღებაში წარმატების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ამერიკის წინადადებათა საფუძველზე და საბჭოთა კავშირმა უნდა „გაიზიაროს“ ამერიკის მიდგომა. ამავე დროს ვაშინგტონმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირმა პრინციპულად უარყო სამხედრო უპირატესობის კურსი, რასაც ითვალისწინებს ევროპაში საშუალო სიშორის იარაღისათვის რეიგანის „ნულოვანი ვარიანტი“, ამერიკის პოზიცია სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს შეამციროს მხოლოდ საბჭოთა სტრატეგიული საშუალებანი და ხელუხლებელი დატოვოს ამერიკული სისტემები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ახლა ყველაზე ინტენსიურად ვითარდება. ასეთი მიდგომა ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის უშიშროებისადმი ზიანის მიყენებას და ამავე დროს ვაშინგტონს აძლევს თავისუფლებას განახორციელოს სტრატეგიული შეიარაღების გაძლიერების პროგრამები.

ამერიკის პრეზიდენტმა თავის ანტისაბჭოთა გამოხდომებში ისიც კი იკადრა, რომ გაიმეორა არაერთხელ უარყოფილი ყალბი ჭორები იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირს გამოეყენებინოს ქიმიური იარაღი. იგი ხელაღებით ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა კავშირი არღვევდეს ჟენევის 1925 წლის ოქმს. ყოველივე ეს, ცხადია, იმისთვის დასჭირდა, რომ შეენიღბა შეერთებული შტატების მიერ ამ ოქმის დარღვევის კარგად ცნობილი ფაქტები.

სესიის დელეგატთა უმრავლესობას იმედი გაუცრუვა იმან, რომ რ. რეიგანმა არ გადადგა შემხვედრი ნაბიჯი იმის პასუხად, რომ საბჭოთა კავშირმა იკისრა ვალდებულება პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი. საბჭოთა კავშირის ეს გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიჩნიეს როგორც დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის გადიდების მიზნით.

რ. რეიგანის გამონათქვამებმა მწვავე კრიტიკული რეაქცია გამოიწვიეს ამერიკის პრესის ფურცლებზე. „უკეთესი იქნებოდა, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რეიგანსაც რომ ეკისრა ვალდებულება არ იხმაროს პირველმა ბირთვული იარაღი, ვიდრე ის, რომ ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გენერალ როჯერსის მსგავს მოღვაწეთ ნებას აძლევდეს საჯაროდ გამოაცხადონ — როგორც მან გააკეთა კიდეც სწორედ იმ დღეს, როცა საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა თავისი ვალდებულება — რომ რეკომენდაციას უწევს პირველი ბირთვული დარტყმის მიყენების კონცეფციას“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის წინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლის დროს გაიმართა ამერიკელ მშვიდობის მომხრეთა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას მოსთხოვეს დაუყოვნებლივ შეაჩეროს გამალებული ბირთვული შეიარაღება, შეუწყვიტოს მხარდაჭერა ისრაელის აგრესიას ლიბანში, ინგლისის კოლონიზატორულ ავანტიურას ფოლკლენდის კუნძულებზე.

„ჩვენ თეთრი სახლის პოლიტიკის შესახებ სიტყვებით კი არა, საქმეების მიხედვით ვმსჯელობთ“ — ერთხმად გაიძახოდნენ დემონსტრაციის მონაწილეები.

საერთაშორისო ცხოვრება — დედამიწის ზურგზე

[illegible] და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები, მოვლენები

19 ივნისი

● სალვადორი

„ვენსერემოსის“ ცნობა

მანაგუა. როგორც სალვადორელ აჯანყებულთა რადიოსადგური „ვენსერემოსი“ იუწყება, მორასანის დეპარტამენტში ბრძოლების დროს მოკლეს სალვადორის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ადოლფო კასტილიო. იგი იმყოფებოდა ვერტმფრენში, რომელიც აჯანყებულებმა ქ. სან-ფერნანდის რაიონში ჩამოაგდეს.

— უშიშროების საბჭოში —

მანდატის ვადა გაუგრძელეს

ნიუ-იორკი. უშიშროების საბჭომ როგორც დროებითი ღონისძიება, ორი თვით გაუგრძელა მანდატის ვადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებით საერთაშორისო შეიარაღებულ ძალებს სამხრეთ ლიბანში.

ეს ძალები 1978 წლის გაზაფხულზე შეიქმნა ლიბანის წინააღმდეგ თელ-ავივის აგრესიის შემდეგ, რათა მეთვალყურეობა გაეწიათ ოკუპირებული რაიონიდან ისრაელის ჯარების გაყვანისათვის.

ლიბანში ამასწინანდელი შეჭრისას ოკუპანტებმა საერთაშორისო ძალების პოზიციები გადალახეს. აგრესორები ამ ძალების მოსამსახურეებს ჰუმანური ხასიათის დახმარებაშიც კი უშლიან ხელს.

სანამ საბჭო ვითარების ყველა ასპექტს განიხილავდეს, გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის საშუალება უნდა მიეცეს ყველა ღონე იხმაროს მშვიდობის აღსადგენად, ნათქვამია მიღებულ რეზოლუციაში.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე გულისწყრომით დაგმეს თელ-ავივის ბარბაროსული აქცია.

პროტესტის ნიშნად

ნიუ-იორკი. ათობით ქვეყნის ოფიციალურმა დელეგაციებმა დატოვეს სხდომათა დარბაზი, სადაც მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების მეორე სპეციალური სესია, როცა სიტყვა მისცეს ისრაელის პრემიერ-მინისტრს მ. ბეგინს.

ლიბანში თელ-ავივის თავხედური აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დარბაზიდან გავიდნენ არაბეთის, აფრიკის მეტი წილი ქვეყნების, აზიის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები. ისრაელის სახელმწიფოებრივი ტერორიზმის პოლიტიკის სულისჩამდგმელის მოსმენა არ ისურვეს აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმა.

● არგენტინა

პრეზიდენტი გადადგა

ბუენოს-აირესი. როგორც აქ გამოაცხადეს, გენერალ-ლეიტენანტი ლ. გალტიერი გადადგა არგენტინის პრეზიდენტისა და სახმელეთო ჯარების სარდლის პოსტიდან. სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას დროებით შეასრულებს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალი ა. სენ-ჟანი. სახმელეთო ჯარების სარდლად დაინიშნა პირველი საარმიო კორპუსის სარდალი, დივიზიის გენერალი კ. ნიკოლაიდესი.

არგენტინის პრესა გალტიერის გადადგომის მიზეზად ასახელებს უთანხმოებას ქვეყნის უმაღლეს სამხედრო სარდლობაში ინგლისთან კონფლიქტში არგენტინის შემდგომი პოზიციის გამო.

● მოზამბიკი

გამოუტანეს განაჩენი

მაპუტუ. მოზამბიკის სამხედრო-რევოლუციურმა ტრიბუნალმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა ეგრეთ წოდებული „წინააღმდეგობის ეროვნული მოძრაობის“ და „თავისუფალი აფრიკის“ დაჯგუფების წევრ შვიდ ბანდიტს. ამ კონტრრევოლუციონერ ნაძირალებს აიარაღებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო აპარტეიდის რეჟიმის სპეციალური სამსახურები მათ ტერორისტულ საქმიანობას მოზამბიკისა და აფრიკის სხვა დამოუკიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ მიმართავენ.

დივერსანტებს ბრალად დაედოთ სახელმწიფო ღალატი, ჯაშუშობა, შეიარაღებული გამოსვლა სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ, იატაკქვეშა ორგანიზაციების შეკოწიწება.

თბილისში დამთავრდა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის გასტროლები

მომავალ შეხვედრამდე!



გულწრფელი მასპინძლობა

ჩვენ ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ დიდი თეატრის გასტროლებს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. აქეთ კარგა ხანია არ ყოფილა კოლექტივი და ახლანდელი ჩამოსვლა ერთგვარი ანგარიშიც არის საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის წინ.

ეს ერთი კვირაა სიყვარული და პატივისცემა არ დაუკლია ჩვენთვის თბილისის, მისი ახლო-მახლო რაიონების, ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეებს. ჩვენც ვეცადეთ სრულად წარმოგვეჩინა ჩვენი ძალები, რათა დიდხანს სასიამოვნო მოგონებად გაჰყვეთ თქვენი რესპუბლიკის მშრომელებს თეატრის სტუმრობა.

ჩემი აზრით, გასტროლებმა გაამართლა თავისი დანიშნულება, უფრო განამტკიცა ჩვენი ურთიერთობა, რომელიც ტრადიციულად არსებობს და ასე ვუფრთხილდებით.

ამ ურთიერთობის ერთი ნათელი დადასტურება უნდა იყოს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები ჩვენთან, რომელიც წელს ალბათ არა, მაგრამ გაისისათვის კი აუცილებლად უნდა დაიგეგმოს.

ამ ურთიერთობას გაუმარჯოს, დიდი მადლობა ყველას ქართულ მიწაზე ასეთი გულწრფელი მასპინძლობისათვის.

ვ. კოკონინი,
სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის გენერალური დირექტორის მოადგილე, გასტროლების ხელმძღვანელი.

ნახვამდის, თბილისო!

უცებ სცოდნია თბილისს შეყვარება და ერთი კვირა, მართლაც, არ არის საკმარისი, რომ მისი ეშხი და სილამაზე ერთიანად შეიგრძნო.

სტუმართმოყვარეობაც უბადლო გცოდნიათ, ეს ვიგრძენით თბილისშიც და საგარეჯოს რაიონშიც, სადაც მასპინძლებმა არც პურ-ღვინო დაიშურეს და ეროვნული სიმღერებითა და ცეკვებითაც დაგვატკბეს.

სწორედ დღეს მითარგმნეს თქვენი გაზეთის რეცენზიიდან ადგილი, საიდანაც გავიგე რომ სხვებთან ერთად „ევგენი ონეგინში" ჩემი დაჩინაც მოსწონებიათ თბილისელებს. ბედნიერი ვარ, თუ ჩემმა სიმღერამ, მართლაც, მოგანიჭათ სიამოვნება!

ნახვამდის, მშვენიერო თბილისო!

მ. მიგლაუ,
რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი.

მადლობა დიდი ხელოვნებისათვის!

დიდი სიხარული მოგვგვარა, დიდი ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭა ამ სახელგანთქმულმა თეატრმა თავისი გამოსვლებით. ჭეშმარიტად ეს იყო დღეები დიდი მუსიკისა, მეგობრობისა, რომელიც ასე მტკიცდება და ძლიერდება. დიდი თეატრის მსახიობები გვეუბნებოდნენ, თითქოს უკვე წარმოუდგენელიც იყოს ჩვენი კოლექტივი უქართველ მომღერლებოდო. გავიგეთ, რომ ამჟერად ჩვენი ნიჭიერი გოგონას, ამჟამად სტაჟიორის მაია თომაძის დატოვება გადაუწყვეტიათ დიდ თეატრში, ფრიად რომ სასიხარულო და საამაყოა!

ვემშვიდობები ძვირფას სტუმრებს და ქართული თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით მადლობას ვუძღვნი მათ დიდი ხელოვნებისთვის და თან მოკითხვას ვაბარებ ჩემს უახლოეს მეგობართან — ბორის პოკროვსკისთან, რომელიც ავადმყოფობის გამო, სამწუხაროდ, ამჯერად ვერ ჩამოვიდა ჩვენს დედაქალაქში.

ახალ წარმატებებს გისურვებთ, მეგობრებო!

დ. ალექსიძე,
საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ნაცნობი ხმა

(დასასრული)

სცენაზე ავიდნენ დიდი თეატრის მსახიობები და მათი ქართველი კოლეგები. საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის, მუსიკალური კულტურის მოღვაწეების სახელით სტუმრებს მიმართა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა. მან გულითადი მადლობა გადაუხადა მუსიკალური მოსკოვის წარმოგზავნილებს, დიდი რუსული კულტურის წარმომადგენლებს დღესასწაულისათვის, რომელიც მათ მიუძღვნეს თბილისელებს საიუბილეო წელს.

— თქვენი გამოსვლა თბილისში, — თქვა მან, — მარტო შესანიშნავი და სასიხარულო მოვლენა როდია, ეს ამავე დროს ჩვენი ქვეყნის ხალხების ურღვევი ძმობის შთამბეჭდავი დემონსტრაციაა, იმ პრინციპების მკაფიო გამოვლინებაა, რომლებიც საფუძვლად უდევს მთელ ჩვენს ცხოვრებას. ჩვენი საქმიანი და შემოქმედებითი შეხვედრა, დღევანდელი ზეიმი — ეს არის მთელი მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის ზეიმი, ძმობის, შრომის, მშვიდობის, ბედნიერების იდეების გამარჯვება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დიდი თეატრის პარტკომის მდივანმა, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. გრიგორიევმა.

სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სახელით მან მხურვალე მადლობა გადაუხადა ქართველ მსმენელებს გულთბილი შეხვედრებისათვის, ძმობის შთამაგონებელი სიხარულისათვის. ი. გრიგორიევმა დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას ყურადღებისათვის, რომლითაც მოსკოველი მსახიობები გარემოსილი იყვნენ საქართველოში. ყველგან, სადაც უნდა წავსულიყავით, თქვა მან, სოფლის მშრომელებთან თუ მუშათა კოლექტივებთან, ყველგან გვხვდებოდნენ როგორც ძვირფას და ახლობელ ადამიანებს, როგორც ნამდვილ ძმებს. ჩვენ ვნახეთ შრომით, ხალხების მეგობრობის ძალით განახლებული საბჭოთა საქართველო, რომელიც მოძმე რესპუბლიკებთან ერთიან მწყობრში ეგებება ჩვენს დიდ და ნათელ დღესასწაულს — საბჭოეთის იუბილეს. ჩვენ გავიცანით თქვენს მშვენიერ ქალაქს, სადაც ყოველი მთა და კლდე, ყოველი ქუჩა და მოედანი ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ხორცშესხმული სიმღერაა. ამ გრძნობებით იყო გამთბარი ჩვენი სტუმრობა საქართველოში, ამ გრძნობებით ვტოვებთ თქვენს საოცრად მუსიკალურ და თეატრალურ ქალაქს.

...გაისმის პუჩინის ოპერა „ტოსკას" მომაჯადოებელი ჰანგები. მაყურებელს კვლავ ნატიფი ოსტატობა უჩვენეს შემსრულებლებმა, გუნდმა და ორკესტრმა. სადირიჟორო პულტთან იდგა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. სიმონოვი. სპექტაკლის დიდი წარმატება სამართლიანად გაინაწილეს უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ლ. სერგიენკომ (ტოსკა), სოლისტებმა ვ. ვერსტნიკოვმა (სკარპია), ვ. შჩერბაკოვმა (კავარადოსი) და სხვებმა, აგრეთვე დამდგმელებმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რეჟისორმა ბ. პოკროვსკიმ და რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარმა ვ. ლევენტალმა.

დარბაზმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მოსკოველი მსახიობები, სცენა ყვავილებით აივსო. სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობები თავიანთ შემოქმედებითს ანგარიშს ამიერკავკასიის რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე ერევანში დაამთავრებენ. (საქინფორმი).

„ტოსკა"—დრამა სიყვარულის და გმირობისა

გასული საუკუნის დამლევსა და ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში იტალიური საოპერო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლად და დიდი ვერდის ღირსეულ მემკვიდრედ აღიარებულ იქნა შემოქმედებითი ნიჭით უხვად დაჯილდოვებული კომპოზიტორი ჯაკომო პუჩინი (1858-1924). მისი 12 ოპერიდან მსოფლიო პოპულარობა მოიპოვეს „მანონ ლესკომ", „ბოჰემამ", „ჩიო-ჩიო-სანმა" და „ტურანდოტმა". მათგან შესამჩნევად განსხვავდება ისტორიულ სიუჟეტზე დაწერილი ერთადერთი ლირიკულ-დრამატული ოპერა „ტოსკა" ფრანგი დრამატურგის ვიქტორიენ სარდუს პიესის — „ფლორია ტოსკას" — სიუჟეტზე. 82 წელმა განვლო ამ ოპერის პრემიერის შემდეგ, მაგრამ მას დღემდე არ მოკლებია მსმენელზე ემოციური ზეგავლენის ძალა. ჩინებულმა საოპერო მომღერლებმა, როგორნიც იყვნენ რუმინელი ჰარიკლეა დარკლე (რომელსაც კომპოზიტორმა უძღვნა „ტოსკა"), რენატა ტიბალდი, მარია კალასი (ტოსკა), კარუზო, ჯილი, ლანცა და დელ მონაკო (მარიო კავარადოსი), ტიტო გობი (სკარპია) და სხვანი, განმტკიცეს „ტოსკას" პოპულარობა, ამ ოპერის დადგმაში სხვებს არც თბილისის თეატრი ჩამორჩებოდა, რომლის მუსიკალურ-სცენურ განსახიერებაში ქართველ მომღერლებს და დირიჟორებსაც უსახელებიათ თავი. აქედან გასაგებია ცხოველი ინტერესი, რომლითაც ჩვენი საზოგადოებრიობა მოელოდა ამ ოპერის შესრულებას დიდი თეატრისაგან. მეტად რთულია ტოსკას როლი, ვინაიდან სამი აქტის მანძილზე მან უნდა განასახიეროს მოუსვენარი, კეკლუცი, მაყურებლების მიერ განებივრებული მსახიობი ქალის სახე. მოქმედების განვითარების პროცესში იგი წარმოგვესახება როგორც ახალგაზრდა მხატვარ მარიო კავარადოსისადმი სიყვარულით გატაცებული არსება, რომელიც შურს იძიებს მტარვალ სკარპიაზე და სატრფოსთან ერთად იღუპება.

მომღერალი ქალის ლ. სერგიენკოს ლირიკულ-დრამატული სოპრანო კარგად ჟღერდა სოლო და საანსამბლო სცენებში.

ჩვენმა ნიჭიერმა თანამემამულემ ზ. სოტკილავამ შთაგონებით იმღერა პირველი მოქმედების არია, — ეს აღფრთოვანებით აღსავსე ჰიმნი ხელოვნების, მშვენიერებისა. უფრო ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა კავარადოსის ცნობილი არიის („ცაზე ვარსკვლავები კიაფობენ") შესრულებით. სოტკილავამ მხატვრული დამაჯერებლობით გადმოსცა თავისი გმირის მძაფრი სულიერი განწყობილება სიცოცხლესთან უდროოდ გამოთხოვების ჟამს. მოწონების ღირსია აგრეთვე მისი მონაწილეობა ოპერის საანსამბლო სცენებში.

ბარონი სკარპია — პაპისტური რომის პოლიციის უფროსი, ვერაგი და დაუნდობელი მტერი რევოლუციურად განწყობილი იტალიელი ბონაპარტისტებისა დიდ როლს ასრულებს „ტოსკას" მუსიკალურ დრამატურგიაში. შემთხვევითი როდია, რომ ოპერის მოკლე მძლავრ დინამიკურ ორკესტრო შესავალში გატარებულია სკარპიას ლაიტმოტივი, სხვა ლაიტმოტივებთან ერთად წითელი ზოლივით რომ გასდევს მთელ ოპერას. ვ. ვერსტნიკოვმა შექმნა ამ ცბიერი და ულმობელი ჯალათის თავისებური სახე. კავარადოსის მეგობრის, რევოლუციონერ ანჯელოტის როლი შესრულა ვ. იაროსლავცევმა, რაც შეეხება დანარჩენ შემსრულებლებს, ისინი, შეძლებისდაგვარად, ხელს უწყობდნენ სპექტაკლის მსვლელობას.

მაღალი შეფასების ღირსია რეჟისორ ბ. პოკროვსკის დადგმა, რომლის მიზანსცენები ბუნებრივად შეხამებულია მთავარ მოქმედ პირთა რთულ სულიერ განცდებთან. ოსტატურადაა გადაწყვეტილი ორმაგ პლანზე აგებული კონტრასტული სცენები, როგორიცაა, მაგალითად, სკარპიას მიერ კავარადოსის დაკითხვის სცენა მხიარული მეჯლისის ფონზე.

გუნდი „ტოსკაში" მოკლებულია ქმედით ძალას, მაგრამ მას მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება სხვადასხვა შინაარსის სცენურ სიტუაციებთან დაკავშირებით.

ყურადღებას იპყრობს ოპერის პირქუშ ტრაგედიულ ატმოსფეროსთან შერწყმული დეკორაციული მხატვრობა, რომლის ავტორია გამოცდილი ოსტატი ვ. ლევენტალი.

ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დიდებულმა ორკესტრმა. ამ ნიჭიერი კოლექტივის მაღალმა საშემსრულებლო ხელოვნებამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ორკესტრის შემადგენლობაში არიან საკავშირო და მსოფლიო კონკურსების ლაურეატები, სოლისტი-ვირტუოზები და პერსპექტიული ახალგაზრდობა. დირიჟორ თ. მანსუროვს კორექტულად მიჰყავდა ორკესტრი. აუდიტორიამ, თანახმად ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სტუმართმოყვარეობისა, გულთბილად მიიღო დიდი თეატრის ამ სპექტაკლის მონაწილენი.

პავლე ხუჭუა.

სურათზე: „ტოსკას" ერთ-ერთი სცენა. ტოსკა — უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ლ. სერგიენკო.
ვ. მენაბდის ფოტო.

გრანდიოზული ქღერადობის ნაწარმოები

საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის გასტროლები დასრულდა, მოსკოველების ვიზიტის კულმინაციურ წერტილად იქცა ვერდის „რეკვიემი" — „გრანდიოზული იდეების, ემოციების, ჟღერადობის" ნაწარმოები, „იტალიური რევოლუციის დიდმა მაესტრომ" გამოხენილი მწერლის, მხურვალე პატრიოტის ალესანდრო მანძონის ხსოვნას რომ უძღვნა და გამოხატა მასში „შიში, ვედრება, ცრემლები, ექსტაზი... სულიერი ძალების აღზევებაც და შემაძრწუნებელი სევდაც... რა საოცარი სიმდიდრეა შთამბეჭდავი რიტმებისა, გულში ჩამწვდომი მელოდიებისა! რა საოცრად ინტენსიური და მრავალფეროვანია კოლორიტი! დიდმა მაესტრომ ჩვენს თვალწინ შექმნა ისეთი სურათები, რომლებიც ხან ტინტორეტოს ტილოებს გვაგონებენ, ხან დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" საუკეთესო ფურცლებს, ხან მიქელანჯელოს „განკითხვის დღეს" (ჯ. რანკოლია).

ბუნებრივია, რომ ვერდის ამ უკვდავ ქმნილებასთან შეხვედრას ჩვენი მსმენელები განსაკუთრებული მოლოდინებითა და ინტერესით ელოდებოდნენ (ასევე იმედოვნებდნენ ისინი დიდი თეატრის სიეტაპო სპექტაკლების ვერდის „ოტელოს" და „ბალ-მასკარადის" ხილვას!).

მაგრამ ვიდრე შევჩერდებოდე მოსკოველთა ამ ფრიად მნიშვნელოვან ნამუშევარზე, მკითხველებს შევახსენებთ, რომ ვერდის „რეკვიემი" დიდი თეატრის სცენაზე ამ ორიოდე თვის წინათ დაიდგა და თბილისში ჩამოსვლამდე წარმოდგენილი იყო მხოლოდ და მხოლოდ სამჯერ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჯერ ისევ გრძელდება ამ უაღრესად რთული, ღრმა და მრავალწახნაგოვანი ნაწარმოების საშემსრულებლო კონცეფციის ჩამოყალიბების პროცესი.

საბოლოოდ დაზუსტებული არც სოლისტთა ჯგუფია. დასამალი როდია, რომ ულამაზესი ხმის მომღერალს, პლასტიკური ვოკალიზაციის დიდოსტატს მაყვალა ქასრაშვილს (სხვათა შორის, მან ეს პარტია პირველად თბილისში ჯ. კახიძის დირიჟორობით შეასრულა), მხარს უნდა უმშვენებდნენ ასეთივე მაღალი კლასისა და ფართო ვაქანების მომღერლები, რომლებიც სრულფასოვან ანსამბლს შექმნიან და მხოლოდ ამ გზით დაიპყრობენ ვერდის მუსიკის მწვერვალებს. აქ არ ვგულისხმობ ახალგაზრდა მეცო სოპრანოს ლ. შემჩუკს, რომელმაც მ. ქასრაშვილს ღირსეული პარტნიორობა გაუწია „რეკვიემის" მეორე წარმოდგენაზე.

მოგახსენებთ იმასაც, რომ მოსკოვში „რეკვიემი" მოამზადა და განახორციელა ცნობილმა დირიჟორმა ი. სიმონოვმა, თბილისში კი პულტთან დადგა ნიჭიერი მუსიკოსი ა. ლაზარევი, რომელმაც გამოიჩინა რა ოპერატიულობა, შემოქმედებითი მზადყოფნა, წარმატებით დასძლია ტექნიკურ-აკუსტიკური ამოცანები მიუხედავად იმისა, რომ პირველად შეახო ხელი ვერდის გრანდიოზულ ქმნილებას.

დირიჟორის ესოდენ მოულოდნელმა შეცვლამ, ამ ნაწარმოების შესრულებას როგორც ჩანს, მაინცდამაინც ვერაფერი დააკლო. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ დიდი თეატრის ორკესტრი და გუნდი (ქორმეისტერი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. რიბნოვი) მობილიზებული, მონოლითური, ელასტიკური კოლექტივებია, რომლებსაც გამომუშავებული აქვთ ზუსტი და სწრაფი ორიენტაციის უნარი, რაც მყარი შემოქმედებითი ფუნდამენტით, მაღალი პროფესიონალიზმით აიხსნება.

„რეკვიემის" შესრულება უპირველესად სწორედ ამ თვისებებით იყო აღბეჭდილი!

ა. ლაზარევი მკაცრად იცავდა შესრულების აკადემიურ სტილს და საშემსრულებლო კოლექტივს კალაპოტიდან ამოვარდნის საშუალებას არ აძლევდა. მან აირჩია ამ დიადი „სამგლოვიარო ჰიმნის" თავდაჭერილი გამოხატვის გზა და ეს გზა მთლიანობის, სიცხადის, სისადავის მისაღწევ საშუალებად მიიჩნია.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ იგი შეგნებულად უარყოფს ტრაგიკული ექსპრესის გამძაფრებასა და გამშვენებას, დინამიკური და ფსიქოლოგიური კონტრასტების გამწვავებას, ისეთი საპირისპირო ვითარების ხაზგასმას, როგორიცაა რეალობაში ჩართვა, რეალობიდან გასვლა, გრძნობების დამიწება, მათი აღზევება.

ნაცვლად ამისა, „რეკვიემში" გაბატონდა ბილინური წარმოშობის ეპიკური სუნთქვა, რის გამოც ვერდის ქმნილება შინაგანად დაძაბულ, საგანგებოდ შენელებულ, გულჩათხრობილ ღაღადისს უფრო ჰგავდა, ვიდრე იმ გამძაფრებულ მისტერიულ ქმედებას, სიკვდილის კოსმიურ სიმბოლოს რომ განასახიერებს და გამოხატავს კატასტროფის წინაშე მყოფი კაცობრიობის რისხვასა და გოდებას, ტანჯვასა და ვედრებას... (ასეთნაირად დგამენ „რეკვიემს" კარაიანი და აბადო, თუმცა სრულიად განსხვავებულია ამ გამოჩენილი დირიჟორების მსოფლშეგრძნება, მათი ხელწერა).

როგორც ჩანს, საქმე გვაქვს განსხვავებულ, იქნებ სადავო, მაგრამ მაინც საინტერესო კონცეფციასთან, რომლის თავისებურებებს განაპირობებენ ის ცოცხალი ემოციური იმპულსები, სათავეს რომ იღებენ ეროვნული შემოქმედების მორეული წიაღიდან.

რუსული ბილინების ეპიკური სუნთქვა და რუსული საგალობლების ლირიკული გზნება გახლავთ ის საძირკველი, რომელზეც დგას დიდი თეატრის მიერ დადგმული ვერდის „რეკვიემი" და ამ ნამუშევრის მომხიბვლელობა სწორედ ამაშია.

მანანა ახმეტელი.

სურათზე: ვერდის „რეკვიემს" ასრულებენ დიდი თეატრის სოლისტები მ. ქასრაშვილი, ნ. ტერენტიევა, ა. ლომანოსოვი, გ. სელეზნიოვი.
ჯ. ლომაძის ფოტო.

ათი საუკეთესო დადგმა

ლიტვის რუსული დრამატული თეატრი თბილისში

ორშაბათს, 21 ივნისს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გასტროლებს იწყებს ლიტვის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის კოლექტივი. ლიტველთა ხელოვნებას უკვე გაეცნო აფხაზეთის საზოგადოებრიობა, სადაც მათ ორ კვირას დაჰყვეს. თბილისში თეატრის დასი საპასუხო გასტროლებზე ჩამოვიდა. ამჟამად ვილნიუსში გასტროლებზეა თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი.

ლიტვის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი ღირსეულად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრალურ კოლექტივად. არსებობის 36 წლის მანძილზე აქ წარმატებით იდგმება როგორც ლიტველ დრამატურგთა, ისე რუს თუ ევროპელ კლასიკოსთა, მოძმე რესპუბლიკების თანამედროვე ავტორთა პიესები.

თეატრის საგასტროლო რუკა ძალზე ფართოა. დასის ხელოვნებას ტაშს უკრავდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, ბაქოსა და იოშკარ-ოლის, ყაზანისა და ლვოვის, მურმანსკისა და სევასტოპოლის, სვერდლოვსკისა და დნეპროპეტროვსკის, ხარკოვისა და ჩვენი ქვეყნის მრავალი სხვა ქალაქის მაყურებლები. 1979 წლის მაისში თეატრი საგასტროლოდ იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

დღეს თეატრი თავის ძირითად ამოცანად თვლის რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს ჩვენი თანამედროვე გმირის სახეს, საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს, მის მორალურ და ზნეობრივ ძალას. თეატრისათვის ძალზე დამახასიათებელია მოქალაქეობრიობის, საზოგადოებრიობის წინაშე ადამიანის დიდი პასუხისმგებლობის თემებზე შექმნილი პიესები.

თეატრის თბილისურ საგასტროლო აფიშებზეა რეპერტუარის ათი საუკეთესო დადგმა. ა. გრიბოედოვის სახელობის, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრებისა და თბილისის ოფიცერთა სახლის სცენებზე დასი თბილისელ მაყურებლებს უჩვენებს ი. დრუცეს „წმიდათაწმიდას", ვ. მერეჟკოს „ღამის თავშესაქცევს", ტ. უილიამსის „ტატუირებულ ვარდს", ტ. რუჟევიჩის „კარტოთეკას", ვ. როზოვის „ოთხ წვეთს", დ. კობურნის „ჯინს" (ბანქოს თამაში), ჟ. სიმენონის „სასტუმრო „მაჟესტიკის" სარდაფებში" და სხვ.

დადგმათა უმეტესობა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს, კარელიის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ლიტვის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ი. პეტროვს.

ლიტველთა გასტროლები ერთ თვეს გასტანს. („კომუნისტის" კორ.).

წარმატება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში

რუსთავის თეატრის მოსკოვში გასტროლების გამო

რუსთავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ახლახან დაამთავრა თავისი გასტროლები მოსკოვში ვ. მაიაკოვსკის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დიდ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა რუსთავის თეატრის სპექტაკლების განხილვა, რომელსაც უძღვებოდა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს უფროსი მ. გრიბანოვი.

საგასტროლო სპექტაკლები ვრცლად მიმოიხილა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ვ. ფროლოვმა. რუსთავის თეატრი ახალგაზრდაა, 15 წლისაა, — თქვა მან, — მაგრამ მან უკვე მოიპოვა მაყურებელთა აღიარება. დიდი შინაგანი ტემპერამენტი, ეროვნულობა, მოქალაქეობრიობა და ახალი გზების ძიება — აი, რა განსაზღვრავს დღეს ამ თეატრის სახეს. სიმართლე, ადამიანური სითბო, ქართული ტემპერამენტი, სათუთი დამოკიდებულება ყველა სპექტაკლისადმი, არავითარი სტერეოტიპები და შტამპები, მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმი — ასე წარდგა თეატრის კოლექტივი მოსკოველთა წინაშე. თეატრს თავისი ხელწერა აქვს. მსახიობთა გამოკვეთილი და რელიეფური სახეები, რიტმი და მაღალი პროფესიონალიზმი დიდხანს დაახსომდებათ მოსკოველებს. ხშირად მსახიობთა დუეტის ხმოვანება ნამდვილ საკონცერტო ჟღერადობაში გადაიზრდება ხოლმე. ეს შთამბეჭდავია. მომეწონა თეატრის რეჟისორების, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თ. მესხის და მ. ბუკიას დადგმები, რომლებიც გემოვნებით და ფანტაზიით გამოირჩევა. დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის ჩეხოვის „თოლია" ქართველ მსახიობთა ინტერპრეტაციით. მისასალმებელია, რომ ჩეხოვის ეს უკვდავი პიესა, როგორც იქნა, დაიდგა ქართულ სცენაზე. „თოლიას" რეჟისორული გადაწყვეტა თეატრის მთავარი რეჟისორის ა. ქუთათელაძის შემოქმედებითი გამარჯვებაა. მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი ვ. იაქაშვილის პიესაზე „ჰორიზონტს იქით". სპექტაკლში რამდენადმე შეიმჩნევა დაშტამპული ფიგურები და სქემები, პიესას აკლია დაბოლოება და ხანდახან იგრძნობა გელმანის თემატიკის ხმოვანება. ამავე დროს მშვენივრად არის გამოკვეთილი ორივე გმირის — ქარხნის დირექტორის და მთავარი ინჟინრის სახე და, რაც მთავარია, დიდებულია სპექტაკლის ფონი — ახალგაზრდობა, რომელიც თქვენი ახალგაზრდული მუშათა და მეტალურგთა ქალაქის სიმბოლოა. ამიტომ თანამედროვეობის თემა თეატრის მომავალი გამარჯვებების ლაიტმოტივი უნდა გახდეს.

განხილვაზე გამოვიდნენ რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, „მალაია ბრონაიას" მთავარი რეჟისორი ა. დუნაევი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მ. სტროევა, რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვარი, პროფესორი მ. კურილკო, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ო. როდინა და კრიტიკოსი მ. ვოლენსკი.

— ნ. დუმბაძის „ზურიკელა" უკვე დიდი ხანია ამაყად დააბიჯებს მოსკოვის თეატრების სცენაზე, — თქვა ა. დუნაევმა, — ეს ნაწარმოები ქართული ლიტერატურის კლასიკაა. დიდებული შთაბეჭდილება დატოვეს მსახიობებმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლ. შოთაძემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა, ი. ხობუამ, ნ. მუხულიშვილმა, ჯ. მაზიაშვილმა, ო. სეთურიძემ, თ. დაუშვილმა, ბ. ბეგალიშვილმა, ლ. მიშველაძემ, ჯ. განიძემ, მსახიობებმა ე. ქუთათელაძემ, ც. მესხმა, გ. კიკნაძემ, ა. ლოლუამ...

მიმომხილველებმა აღნიშნეს ლ. თაბუკაშვილის ლირიკული დრამის „ფანტომის ძიების" თანამედროვე ჟღერადობა და ზნეობრივი პრობლემების გადაწყვეტა, ბევრი კარგი სიტყვა ითქვა სხვა საგასტროლო სპექტაკლებზეც.

შემაჯამებელ სიტყვაში მ. გრიბანოვმა მაღალი შეფასება მისცა რუსთავის თეატრის სპექტაკლებს და მომავალი შემოქმედებითი გამარჯვებები უსურვა ახალგაზრდა კოლექტივს...

რუსთავის თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ქუთათელაძემ თეატრის კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა განხილვის მონაწილეთ.

ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში რუსთავის თეატრის კოლექტივმა მოსკოველებს და მრავალრიცხოვან სტუმრებს უჩვენა თავისი საგასტროლო სპექტაკლების ნაწყვეტები.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

„საბჭოთა ხელოვნება" № 5

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მორიგი, მეხუთე ნომერი. იგი იხსნება მოწინავე სტატიით „ახალი ეტაპის დასაბამი: აღორძინების ათი წელი". შემდეგ მკითხველი გაეცნობა რადიოს დღისადმი მიძღვნილ პ. შამათავას წერილს „რადიოს ფენომენს". ბეჭდვითი სიტყვის დღეს ეძღვნება ლ. ელიოზიშვილის წერილი „მეგობრული თანადგომით".

ჟურნალში მკითხველი გაეცნობა გ. მაღულარიას რეცენზიას სოხუმის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის სპექტაკლზე „მარადისობის კანონი". მხატვარ მამია მალაზონიას შემოქმედებას ეძღვნება ლ. თაბუკაშვილის წერილი „მხატვრის მშვენიერი სამყარო". საბჭოთა მუსიკის ჰუმანურ პათოსზე მოუთხრობს მკითხველებს გ. ორჯონიკიძე.

ჟურნალი კვლავ ბეჭდავს მ. თუმანიშვილის მოგონებებს „რეჟისორი თეატრიდან წავიდა". აქვეა გამოქვეყნებული ესტონელი დრამატურგის მატი უნტის ერთ-ერთი პიესა.

მკითხველი გაეცნობა აგრეთვე ს. ნასიძის, ა. კოპლენდის, ნ. ნატროშვილის, ნ. დროზდონის, ვ. შკლოვსკის, ი. ვოლოშინის, გ. აბრამიშვილის, ლ. სირაძის და გ. გვახარიას წერილებს ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე.

ყაბახი

ფეხბურთელთა XII მსოფლიო ჩემპიონატის ტაბლო

მატჩი № 18. ვიგო. იტალია—პერუ 1:1 (1:0). იტალიელთაგან ბურთი გაიტანა კონტიმ (მე-19 წუთზე), პერუელთაგან — დიასმა (84-ე).

მატჩი № 14. ალიკანტე. არგენტინა—უნგრეთი 4:1 (2:0). არგენტინელთაგან ბურთი გაიტანეს მარადონამ (28-ე და 57-ე), ბერტონიმ (26-ე) და არდილესმა (61-ე). უნგრელთაგან გოლის ავტორია პოლოსკეი (76-ე).

მატჩი № 15. სევილია. ბრაზილია—შოტლანდია 4:1 (1:1). ბრაზილიელთაგან ბურთები გაიტანეს ზიკომ (33-ე), ოსკარმა (48-ე), ედერმა (64-ე) და ფალკაომ (86-ე). შოტლანდიელთაგან ერთადერთი ბურთი გაიტანა ნერიმ (მე-19).

ზ. ა. ფირიაშვილი

80 წლისა გარდაიცვალა 1924 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ზაქარია არტემის ძე ფირიაშვილი.

ზ. ფირიაშვილი დაიბადა 1903 წელს ქალაქ თბილისში. შრომითი გზა მან დაიწყო 14 წლისამ ზეინკლის მოწაფედ. 1925 წელს ირჩევენ საქართველოს მელიორაციის კავშირის პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო 1930 წელს სასწავლებლად გზავნიან ბაქოს სამრეწველო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1933 წლიდან 1938 წლამდე იყო მთავარნავთობგასაღების ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მუშაობდა მთავარნავთობგასაღების მთავარ ინჟინრად ბათუმში. 1938 წლის დამდეგს ზ. ფირიაშვილს ირჩევენ ბათუმის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო იმავე წელს ოქტომბერში ინიშნება ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორად, სადაც უცვლელად იმუშავა 21 წლიწადს.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი ზ. ფირიაშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებდა საწვავ-საპოხი მასალებით ფრონტის უზრუნველყოფის დავალებებს.

1959 წელს ზ. ფირიაშვილი გადაჰყავთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს მთავარ ინჟინრად, ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 1964 წლამდე — პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე.

მუშაობის ყველა უბანზე, სადაც კი ზ. ფირიაშვილი გაუგზავნიათ პარტიასა და მთავრობას, მისთვის დამახასიათებელი პარტიული პრინციპულობით, საქმის ღრმა ცოდნით, დიდი ენერგიით ასრულებდა დასახულ ამოცანებს, იყო უღრესად გულისხმიერი ხელმძღვანელი.

სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე განაგრძობდა შრომას ზ. ფირიაშვილი საქართველოს სსრ გაზის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდა თაობას.

ზ. ფირიაშვილი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად და პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად. 25 წლის მანძილზე იგი იყო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ზ. ფირიაშვილს მიღებული ჰქონდა ორი ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, საპატიო ნიშნის ორდენი და მედლები.

ზაქარია ფირიაშვილის — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის ერთგული შვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი; ადგილობრივი და კომუნალური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი, ადგილობრივი და კომუნალური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 1924 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

ზაქარია არტემის ძე ფირიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია

20 ივნისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია", 9.45 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. პოლონეთის ნაკრები — კამერუნის ნაკრები. II ტაიმი, 10.30 — მალვიძარა, 11.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. ჩრდილოეთ პოლუსის გავლით ამერიკაში ვ. ჩკალოვის, გ. ბაიდუკოვისა და ა. ბელიაკოვის გადაფრენის 45-ე წლისთავის გამო, 12.00 — ჯანმრთელობა, 12.45 — „დილის ფოსტა", 13.15 — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო მოსამართლეთა არჩევნები. საინფორმაციო გამოშვება, 13.30 — სასურსათო პროგრამა საერთო-სახალხო საქმეა, 14.30 — მუსიკალური კიოსკი, 15.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. სსრ კავშირის ნაკრები — ახალი ზელანდიის ნაკრები, 16.35 — უკრაინის რუსეთის სფსრ სასულე ორკესტრი, 17.05 — კინომოგზაურობის კლუბი, 18.05 — დღეს მედიცინის მუშაკის დღეა. გვესაუბრება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ს. პ. ბურენკოვი, 18.25 — თქვენი წერილების მიხედვით. მუსიკალური პროგრამა მედიცინის მუშაკთა თხოვნით, 19.00 — საერთაშორისო პანორამა, 19.45 — მულტფილმები, 20.15 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ინგლისის ნაკრები — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. შესვენებისას — საბჭოთა კავშირი უცხოელი სტუმრების თვალით, 22.00 — „ვრემია", 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა, 23.05 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსი, 24.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ესპანეთის ნაკრები — იუგოსლავიის ნაკრები. შესვენებისას (00.45) — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში, 9.20 — მედიცინის მუშაკის დღის გამო. დოკუმენტური ფილმები, 10.10 — მხატვრული ტელეფილმი „ნუ ესვრით თეთრ გედებს" (I და II სერია), 12.25 — ნ. ოსიპოვის სახელობის რუსული ხალხური ორკესტრის სოლისტების კვარტეტის კონცერტი, 12.45 — ცხოველთა სამყაროში, 13.45 — მხატვრული ფილმი, „უკანასკნელი დოღი", 15.05 — მუსიკა კინოში, თეატრსა და ტელევიზიაში „გვიამბობს ნ. ვ. ბოგოსლოვსკი...", 16.20 — გვესაუბრებიან ჩვენი კორესპონდენტები, 16.50 — მხატვრული ტელეფილმი „ვაჟკაცობა". II სერია, 17.55 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსი, 18.25 — კალათბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა. ვაჟები. ევროპის ნაკრები — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები, 19.05 — დაღესტნის მხატვრული კოლექტივების კონცერტი, 19.55 — დიდი ოქტომბრის 65-ე წლისთავისათვის, „ჩვენი ბიოგრაფია", 24-ე ფილმი — „1940 წელი", 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.15 — ე. კუბრიკის შემოქმედება, 22.00 — „ვრემია", 22.35 — მხატვრული ფილმი „ექიმი ხომ არ გამოგიძახებიათ?".

20 ივნისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.45 — ფეხბურთი მსოფლიო პირველობაზე: პოლონეთისა და კამერუნის ნაკრები გუნდები (განმეორებით) (მ.), 10.30 — „მოამბე", 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები", 11.45 — შევისწავლოთ რუსული ენა, 12.15 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის — „ცისკარა". მულტიპლიკაციური ფილმები, 12.45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჩანტირაძე), 13.15 — „ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების არჩევნების დღე". საინფორმაციო გამოშვება (მ.), 13.30 — „იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობისათვის" — „ძიების გზით", 14.10 — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება", 14.35 — „ხალხური შემოქმედება" — „შუქი სულისა" (ხის ჩუქურთმის ოსტატი რ. რობაქიძე), 15.00 — ფეხბურთი მსოფლიო პირველობაზე: საბჭოთა კავშირი — ახალი ზელანდია (განმეორებით) (მ.), 16.35 — „ვესტნიკი", 17.05 — საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის — კონცერტი, 17.40 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „დიალოგი ნატალია კრიმოვასთან", 18.05 — „დღეს მედიცინის მუშაკის დღეა" (სტუდიაშია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ს. პ. ბურენკოვი) (მ.), 18.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პარატაქსისი", 18.45 — „ზღაპრის გუდა", 19.00 — სსრკ შექმნის მე-60 წლისთავისათვის — ქართული სატელევიზიო ფილმი „ჟუმლი", 19.30 — სასურსათო პროგრამა საერთო-სახალხო საქმეა. „ვენახი-82", 19.45 — „მოამბე", 20.15 — ფეხბურთი მსოფლიო პირველობაზე: ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ესპანეთიდან). შესვენების დროს (21.00) „ჩვენი ლაშქარი" — ახალგაზრდა მწვრთნელი, ენთუზიასტი გ. დარჩია, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.), 23.05 — ახალგაზრდობისათვის — „გაუმარჯოს გულადობას", 23.50 — „ჩვენი ანონსი", 24.00 — ფეხბურთი მსოფლიო პირველობაზე: ესპანეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ესპანეთიდან).

რედაქტორი
გ. გედევანიშვილი

КОМУНИСТИ ИНДЕКС უე 08347 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი. ხოშარაულის 29.